პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 141 (18683) კვირა, 19 ივნისი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

ჩვენს ქვეყანაში

გვატყობინებენ საკდესის კორესპონდენტები

● **მოსკოვის ოლქი.** დაგეგმილზე 68 ტონით მეტი ნართი და 108 ათას მეტრზე მეტი ქსოვილი გამოუშვა წლის დამდეგიდან ზარაისკის სართავ-საქსოვმა ფაბრიკამ „კრასნი ვოსტოკმა“.

წარმატება მოპოვებულია ბრიგადებს შორის სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად. დიდ როლს ასრულებს აგრეთვე საწარმოს საამქროების რეკონსტრუქცია წარმოების შეუჩერებლად და დიდმწარმოებლური ტექნიკის დანერგვა.



სურათზე: სართავი საამქროს ერთ-ერთი კუთხე, სადაც ახალი დანადგარები მუშაობს.

ა. სემიოხინას ფოტო.

● **ორენბურგის ოლქი.** ოქტომბრის რაიონის მინდვრის მშრომელები დიდად ემადლიერებიან ოქტომბრის რაიონული საავადმყოფოს მედიცინის მუშაკებს. ისინი რეგულარულად უწევენ კონსულტაციებს სოფლის მშრომელებს, ხშირად მიემგზავრებიან უშუალოდ სამუშაო ადგილებზე მეცხოველეებთან და მექანიზატორებთან.

იმათ შორის, რომლებიც სოფლის მშრომელებს თავიანთ კეთილ მეგობრებად მიაჩნიათ, არის საავადმყოფოს ფერშალი ლიუდმილა ნიკულშინა.

სურათზე: ლიუდმილა ნიკულშინა.

ალ. პოდუბნის ფოტო.

● **ტიუმენის ოლქი.** დაიწყო თეატრალური კოლექტივების საზაფხულო გასტროლები. იგი განსაკუთრებით საინტერესო იქნება ტობოლსკის დრამატული თეატრისათვის, რომლის დასი თბომავალ „პეტრე შლეევით“ ტრადიციულად უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებში გაემგზავრება. მდინარე ობითა და დასავლეთ ციმბირის სხვა მდინარეებით მოგზაურობისას, თეატრის კოლექტივი შვიდი ათას კილომეტრ გზას გაივლის, თეატრის რეპერტუარშია სპექტაკლები რუსი, საბჭოთა და უცხოელი ავტორების ნაწარმოებთა მიხედვით. ტობოლსკელები თავიანთ ხელოვნებას უჩვენებენ ნიჟნევარტოვსკის, სტრეჟევოს, სუანგუტის, ნეფტეიუგანსკის და სხვა დიდ ნავთობგაზმომპოვებელთა ცენტრებს. გასტროლების დროს ისინი შეხვდებიან გეოლოგებს, მებადურებს, ხანტი-მანსკისა და იამალო-ნენცების ოკრუგების შორეული რაიონების მონადირეებს.

სურათზე: ტობოლსკის დრამატული თეატრის მსახიობები.

ი. საპოჟნიკოვის ფოტო.

● **იჟევსკი.** გაერთიანება „იჟსტალში“ დაინერგა გამოთვლითი მანქანის დახმარებით პროდუქციის მიწოდების პროგრამული აღრიცხვის სისტემა. მის საფუძველში ჩადებულია სახელშეკრულებო ვალდებულებით გათვალისწინებული მიწოდებათა მოცულობა, ნომენკლატურა და ვადები. ამის მეოხებით მინიმუმამდეა შემცირებული დროზე გაუგზავნელი ნაწარმის მოცულობა.

● **გოროდოკი.** (ლვოვის ოლქი). ახალი ტრაქტორი — წახალისება ტექნიკის ეფექტიანი გამოყენებისა და სათბობის დაზოგვისათვის — გადაეცა გოროდოკის რაიონის კოლმეურნეობა „ბოლშევიკის“ მექანიზატორს გ. ბოკალოს. მიმდინარე წლის დამდეგიდან მან უკვე ტონა საწვავი დაზოგა. აქტიურად მონაწილეობენ მომჭირნეობისათვის ლაშქრობაში ოლქის ყველა მეურნეობის შრომითი კოლექტივები. ხუთწლედის მესამე წელს მათ უკვე დაზოგეს თითქმის ხუთი ათასი ტონა დიზელის სათბობი, ასობით ტონა ბენზინი და საპოხი ზეთები.

● **ვოლჟსკი.** (ვოლგოგრადის ოლქი). ვოლჟსკის ფოლადის კონსტრუქციების ქარხანაში დაიწყო საყრდენების გამოშვება, რომლებიც დააჩქარებენ ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობას. ნაწარმი შედგება იმათთან შედარებით გაცილებით ნაკლები რაოდენობის ელემენტებისაგან, რომლებსაც ადრე უშვებდნენ. სპეციალისტთა გამოანგარიშებით, ამ ლითონის ბოძების მეშვეობით ყოველი 100 კილომეტრი ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა 40 ათას მანეთზე მეტით გაიაფდება.

● 60 წლის წინათ მოიპოვა ავტონომია ბურიატმა ხალხმა და თანასწორუფლებიანად შევიდა საბჭოთა რუსეთის ძმურ ოჯახში. ამ წლების მანძილზე მათ განვლეს გზა ფეოდალიზმიდან სოციალიზმამდე. გზა, რომელიც საუკუნეებს უდრის. ყოველივე ეს კი შესაძლებელი გახდა ლენინური ეროვნული პოლიტიკის წყალობით, რომელსაც საბჭოთა სახელმწიფო ახორციელებს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც კარგად არის ცნობილი ბურიატიის ფაბრიკებისა და ქარხნების პროდუქცია. ბევრი დიდი საწარმო, სამეცნიერო და კულტურული დაწესებულებაა რესპუბლიკის დედაქალაქ ულან-უდეში.

სახე იცვალა ბურიატიის სოფლებმაც. მეცხოველეობაში, რომელიც ტრადიციულად აქ წამყვან დარგად ითვლება, დიდი მუშაობაა გაჩაღებული პირუტყვის ჯიშობრივი გაუმჯობესებისათვის. სოფლების მშრომელებს დიდ დახმარებას უწევენ მეცნიერები.

ეკონომიკისა და კულტურის დარგში მოპოვებული დიდი წარმატებებისთვის ბურიატიის ასსრ დაჯილდოებულია ლენინის, ოქტომბრის რევოლუციისა და ხალხთა მეგობრობის ორდენებით.

* * *

სურათზე: საგაზაფხულო საძოვრებზე. რესპუბლიკის იალალებზე 2 მილიონამდე ცხვარი ბალახობს.

ვ. მატსკოვსკის ფოტო.

● **კიშინოვი.** მომხმარებელს სწრაფად მისდის ხილი და ბოსტნეული, რომელიც მოლდავეთის პლანტაციებშია მოყვანილი. რესპუბლიკის დამამზადებლებმა მოსავლის მიღება დაიწყეს პირდაპირ მეურნეობებში სპეციალურად მოწყობილ პუნქტებში. ოპერატიული განაცხადების საფუძველზე ისინი თავიანთი ტრანსპორტით უგზავნიან პროდუქციას ქალაქების მაღაზიებს. როგორც პრაქტიკა მოწმობს, დამზადების ახალი ტექნოლოგია შესაძლებლობას იძლევა 15 პროცენტით შემცირდეს მოსავლის დანაკარგები. ამასთან კლებულობს მოთხოვნილება ტრანსპორტზე და არც პროდუქციის ხარისხი უარესდება.

● **გომელი.** წარმატებით დამთავრდა თვითმავალი საკვებასაღები კომბაინის სახელმწიფო გამოცდა. იგი იმუშავებს ბელორუსიისა და არაშავმიწანიადაგიანი ზონის ტორფიან და ჭარბტენიან ნიადაგებზე. ახალ მანქანაში დანერგილ მთელ რიგ ტექნიკურ გადაწყვეტებს გამოიყენებენ სერიულ მოდელში, რომელსაც ახლა უშვებს გაერთიანება „გომელსოფლმანქანა“. ამ ორი კომბაინის მაქსიმალური უნიფიკაცია შესაძლებლობას იძლევა ძირეული გარდაქმნის გარეშე იქნეს ათვისებული გადიდებული გამავლობის მანქანების წარმოება. მათი პირველი პარტია გაისად გამოვა კონვეიერიდან.

● **სევეროდონეცკი.** (ვოროშილოვგრადის ოლქი). არავითარი აგრესიული სითხის არ ეშინია ლითონის ჭურჭელს, რომელსაც სევეროდონეცკის სპეციალისტთა მიერ შემუშავებული ანტიკოროზიული სისტემა აქვს. მისი მოქმედების პრინციპი იმაზეა დამყარებული, რომ ჭურჭლის შიგთავსში ატარებენ დაბალი ძაბვის ელექტროდენს. დენის ზემოქმედებით ლითონი შიგნიდან იფარება უხილავი აფსკით, გადადის პასიურ მდგომარეობაში და არ განიცდის კოროზიას.

● **მელნიკოვო** (ტომსკის ოლქი). ტომსკის ოლქის შეგარსკის რაიონში დამთავრდა გზების მშენებლობა. მოასფალტებული ტრასები გაიყვანეს სოფლების გუსევოს, ბაბარიკინოს და ბატკატის ცენტრალურ ქუჩებში. ამჟამად ოცივე სასაქონლო მეურნეობის ფერმა დაუკავშირდა მეურნეობათა ცენტრალურ კარმიდამოებს. მიმდინარე ხუთწლედში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოოპერაციული სახსრებით რაიონში გაყვანილია 100 კილომეტრი ასფალტ-ბეტონის გზები, რომლებმაც ობისპირა დაშორებული ადგილები დაუკავშირა ოლქისა და რაიონულ ცენტრებს.

ალოოგა ყვარელში

ყვარელი. (საქ. კორ.). გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის საიუბილეო წლის შრომითი ვახტი განსაკუთრებულია ყვარლის რაიონის მშრომელებისათვის, გამორჩეულად ბეჯითობენ აქაური მემინდვრეები, რომლებმაც დროულად დაიჭირეს თადარიგი მარცვლეული კულტურების უხვი მოსავლის მიღებისათვის.

მოსავლის ასაღებად დიდი ხანია გამზადებულია 29 კომბაინი, სხვა საჭირო ტექნიკა, რომელიც მოსავლის აღებაზე, მის დაბინავებაზე, ნამჯის დაწნეხვაზე, სანაწვერალო ხვნაზე და სხვ. იმუშავებს.

ქერის ყანები გაყვითლდა თუ არა, აგუგუნდნენ კომბაინები. ჰიკაანის, გავაზის, შილდის კოლმეურნეობების, „ქინძმარაულის“ მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ქერის ყანებს მკა დაიწყო.

როგორც ყოველთვის, პირველობისათვის ბრძოლაში პირველები ჩაებნენ კომბაინერები გიორგი ხუტილაშვილი, ლაჭია ვანიევი, ბიძინა მოვლელიშვილი, ირაკლი ხიხჩაკაშვილი და სხვები. ისინი ცდილობენ მაქსიმალურად გამოიყენონ ხელსაყრელი ამინდის ყოველი წუთი, 10-12 სამუშაო დღეში დაამთავრონ მოსავლის აღება, თითოეულ ჰექტარზე მომკან და გალეწონ სულ ცოტა 28 ცენტნერი, რაც საგეგმოზე მეტია.

პირველი რამდენიმე ჰექტარის მოსავალი მათი პირობის შესრულების უტყუარ გარანტიას იძლევა.

ცვლა ცვლას მოსდევს

პროფკავშირთა სასახლის დარბაზში შეკრებილთა უმრავლესობას შეადგენდნენ მშენებელთა ოჯახები, რომელთაგან თითოეულის შრომითი სტაჟი საუკუნეს აღემატება.

მშენებელთა შრომითი დინასტიების წარმომადგენლები პროფკავშირთა სასახლის დარბაზში მოვიდნენ თავიანთ პირველ რესპუბლიკურ შეკრებაზე.

ახლა რესპუბლიკაში მშენებელთა შორის ათასზე მეტი შრომითი დინასტიაა, და როგორც წესი, ყველანი წარმოების მოწინავენი არიან. ერთი თაობის ადამიანთა მიერ გამომუშავებული შრომითი ჩვევები მოზარდი თაობის კუთვნილება ხდება.

...გაისმის ფანფარების ხმა. სცენის სიღრმეში ზემოთ მიიწევს რესპუბლიკის ახალმშენებლობათა პეიზაჟები. თითქმის ყველა დამსწრე სცნობს შენობებს, საწარმოთა კორპუსებს, რომელთა მშენებლობაში ჩაქსოვილია მათი შრომაც.

შეკრების მონაწილეებს მისალმება დარგობრივი პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ა. კოპლატაძე, რომელიც კითხულობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოს და ალკკ ცენტრალური კომიტეტის მისასალმებელ წერილს.

შეკრების წამყვანის უფლებას იგი გადასცემს არქიტექტორს, საქართველოს ტელევიზიის კომენტატორს ჯ. ვაშაყმაძეს.

მისი თხოვნით სცენაზე ადის მეთაური დინასტიისა, რომლის საერთო სტაჟი 160 წელს აღემატება. ეს არის რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს № 14 ტრესტის კომუნისტური ბრიგადის ხელმძღვანელი, სოციალისტური შრომის გმირი, თბილისის საპატიო მოქალაქე ვალერიან ჭელიძე. იგი თოთხმეტი წლისა იყო, როცა დიდ სამამულო ომში მიმავალმა მამამ გადასცა თავისი ძველი რანდა. ასე დაიკავა შვილმა მამის ადგილი და დღემდე ატარებს გულში ნაანდერძევი პროფესიის სიყვარულს. თავისი კეთილშობილური შრომისათვის სიამაყე მან გაუღვივა საკუთარ შვილს, ძმისწულებს, რომლებიც მის გვერდით მუშაობენ.

ისევე, როგორც ჭელიძეების დინასტია, დღეს მთელ რესპუბლიკაში ცნობილია ბაღდავაძეების, ძიძიგურების, ჩოკურების, ხვიჩიების, კარელაძეების, დათუაშვილების, ძმები თარბების, ლალიაშვილებისა და სხვათა სახელოვან მშენებელთა დინასტიები. ისინი შეიქმნა ოცდაათიანი წლების მუშათა თაობების წარმომადგენლებისაგან. მაგრამ არიან ისეთებიც, როგორიც ოდილაძეების ოჯახია. სულ ახლახან „კურორტმშენის“ ტრესტში მუშაობა დაიწყეს ცოლქმარმა ოდილაძეებმა, მაგრამ უკვე მოასწრეს დაემსახურებინათ საყოველთაო პატივისცემა. მეექვსე თანრიგის მღებავის მუშაობა ყოველთვის გამოირჩევა დიდი სისწრაფითა და მაღალი ხარისხით, და შვილები გიორგი და არჩილ ოდილაძეები, რომლებიც მათ გვერდით მუშაობენ, არაფრით არ ჩამოუვარდებიან მშობლებს.

რესპუბლიკის მშენებელთა შრომითი დინასტიების პირველი რესპუბლიკური შეკრება გაიმართა გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის წელს. შეკრების მონაწილეებმა დიდი სიხარულით შეიტყვეს, რომ პრეზიდიუმში არიან გეორგიევსკელი გარგაევების მუშათა დინასტიის წარმომადგენლები. მამა, შვილები, შვილიშვილები, ძმისწულები შედიან ამ დინასტიაში. გარგაევების დინასტია თბილისიდანაა. ძმები გარგაევების დედა და დები ახლაც საქართველოს დედაქალაქში ცხოვრობენ და შრომობენ. აქვე შეკრებაზე გარგაევებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიწვიეს ზოიძეების დინასტიის წარმომადგენლები. ახლა გარგაევები საქართველოსთან შრომითმა მეტოქეობამაც დაამოყვრა.

მისალმებების გარდა, რომელთა შორის იყო არქიტექტორთა დიდი დინასტიის მეთაურის არჩილ ქურდიანის მიერ გამოგზავნილი მისალმებაც, შეკრების პროგრამა შეავსო საუბრებმა, გულახდილმა, გულითადმა სჯა-ბაასმა. მშენებელთა თვითმოქმედი კოლექტივის მიერ შესრულებული სიმღერები, ცეკვები ორგანულად შეერწყა საერთო სადღესასწაულო განწყობილებას.

შეკრების მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა რესპუბლიკის ყველა მშენებლისადმი.

მშენებელთა შრომითი დინასტიების პირველ რესპუბლიკურ შეკრებას დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ანდრონიკაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. ქედიშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ნ. ენდელაძე, საქართველოს პროფსაბჭოს მდივნები ზ. კვაჭაძე და ზ. ლაბახუა. (საქინფორმი).

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებები — პრაქტიკულ საქმედ!

მხატვრული სიტყვის ძალა

ხელოვნება მუდამ იყო მძლავრი იდეოლოგიური იარაღი, რომელიც ხალხის ინტერესებს, პარტიის გეგმების განხორციელების საქმეს ემსახურებოდა. ხელოვნების ამ მისიის მნიშვნელობა კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმმა.

პლენუმის დოკუმენტებში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ იური ანდროპოვის სიტყვის დებულებებში გამოხატულია პარტიის მზრუნველობა მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურის ყოველმხრივი განვითარებისათვის, რასაც ნათლად გრძნობენ აფხაზი მწერლებიც. აფხაზური ლიტერატურა, რომელიც წინათ სულ ერთი მწერლით იყო წარმოდგენილი, ახლა ითვლის ასამდე პოეტს, პროზაიკოსს, კრიტიკოსს. მარტო უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე ჩვენმა გამომცემლობამ „ალაშარამ“ ერთ-ნახევარჯერ გაადიდა მხატვრული ლიტერატურისა და დამხმარე სახელმძღვანელოების გამოშვება.

სიტყვითა და საქმით, შემოქმედებითი და საზოგადო მოღვაწეობით ჩვენ კვლავაც ყოველნაირად შევუწყობთ ხელს პარტიის განაწესის განხორციელებას, ხელოვნების იდეურ ზემოქმედებას ადამიანთა გონებაზე, გრძნობებზე, ცხოვრების წესზე, რომელთა კეთილდღეობისათვის ზრუნვაც პარტიის მთელი პოლიტიკის საფუძველია.

შ. აჯინჯალი,

მწერალი, საქართველოსა და აფხაზეთის კულტურის დამსახურებული მუშაკი, გამომცემლობა „ალაშარას“ დირექტორი. (საქინფორმი).

ალვზარდოთ მშრომელი ადამიანი

ჩვენი პარტიის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის მოხსენებაში მრავალი უაღრესად აქტუალური და მნიშვნელოვანი პრობლემაა წამოჭრილი და მითითებულია კიდეც ამ პრობლემათა გადაწყვეტის გზები. ამ ძალიან საინტერესო გამოსვლაში ჩემი ყურადღება განსაკუთრებით მიიპყრო ორმა დებულებამ შრომითი აღზრდისა და პროდუქტებით მოსახლეობის თვითუზრუნველყოფის თაობაზე.

„აღზრდის კარგი საშუალებაა სწავლების ნაყოფიერ შრომასთან დაკავშირება. მტკიცედ უნდა განვახორციელოთ მოსწავლისათვის სასარგებლო შრომის ჩვევისა და სიყვარულის ჩანერგვის კურსი. ეს შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე გონებრივი შრომა, მაგრამ აუცილებლად ნამდვილი შრომა — ნაყოფიერი, საზოგადოებისათვის საჭირო“, — აღნიშნა მან.

ჩვენს რესპუბლიკაში ამ უკანასკნელი წლების მანძილზე ბევრი რამ გაკეთდა შრომითი აღზრდის საქმის სრულყოფისა და განვითარებისათვის. სწორედ შრომითი აღზრდის პრინციპი დაედო საფუძვლად საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის გადაწყვეტილებას, რომლითაც 1981 წელს რესპუბლიკის ინტერნატულ დაწესებულებებთან შეიქმნა სასწავლო-საცდელი დამხმარე მეურნეობები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით გამოყოფილ მიწის ნაკვეთებზე დავიწყეთ ხეხილის, ციტრუსების, ჩაისა და ერთწლოვანი კულტურების გაშენება-მოყვანა, ხელი მოვკიდეთ პირუტყვის მოშენებასა და მეფუტკრეობას.

ინტერნატული დაწესებულებების აღსაზრდელებისა და აღმზრდელების გარჯამ საყურადღებო შედეგები მოგვცა. გასული წლის საწარმოო-საფინანსო გეგმების შედგენას საფუძვლად დაედო პროდუქტებით თვითუზრუნველყოფის პრინციპი, ამასთან ჭარბი პროდუქტების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი ხმარდება ინტერნატული დაწესებულებების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებას და მეურნეობების მცირე მექანიზაციით უზრუნველყოფას. 1982 წელს ჩვენ სახელმწიფოს მივყიდეთ 100 ტონა ხორცი.

რაიონებში განლაგებულ ყველა ინტერნატულ დაწესებულებაში დღეისათვის უკვე შეიქმნა ანდა იქმნება მინი ფერმები, რაც ხორცის წარმოების ზრდის საიმედო გარანტიაა.

ბათუმის № 2 (სალიბაურის) სკოლა-ინტერნატი, რომლის დამხმარე მეურნეობის ფართობი 6,2 ჰექტარია, წელს ვარაუდობს 53.000 მანეთის პროდუქციის მიღებას, აქედან 4 ტონა ღორის ხორცის, 20 ტონა ციტრუსის, 10 ტონა ჩაის ფოთლისა და სხვა.

ახალციხის სკოლა-ინტერნატის დამხმარე მეურნეობამ შარშან აწარმოვა 5 ტონა ღორის ხორცი, 13 ტონა ბოსტნეული, 5 ტონა ხილი და სხვა პროდუქტები.

სამტრედიის რაიონის საბავშვო სახლს 19 მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი ჰყავს. შარშან მეურნეობამ სახელმწიფოს მიჰყიდა 1,7 ტონა ღორის ხორცი, 6 ტონა ბოსტნეული, 1,3 ტონა ხილი, 4 ტონა რძე და სხვა პროდუქტები.

რუსთავის სკოლა-ინტერნატის დამხმარე მეურნეობაში წლეულს გაზაფხულზე მოიწიეს 15 ტონა საადრეო ბალჩეული.

უკვე ორი წელია რესპუბლიკის ინტერნატული დაწესებულებები თავად აწარმოებენ, აღარ ყიდულობენ ზოგიერთ საქონელს.

ინტერნატებთან არსებული დამხმარე მეურნეობების სამერმისო საზრუნავია სასურსათო პროდუქტებით თვითუზრუნველყოფა და სკოლამდელთა დაწესებულებებისათვის, სანატორიული ტიპის ინტერნატებისა და საავადმყოფოებისათვის ჭარბი პროდუქტების მიწოდება.

სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო სახლებში განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ ყმაწვილების შრომითი აღზრდასა და სწორ პროფესიულ ორიენტაციას. ამ მიზნით უკანასკნელ ხანს რესპუბლიკის ინტერნატულ დაწესებულებებში განხორციელდა მნიშვნელოვანი ღონისძიებანი, რომელთა შორის აღნიშვნის ღირსია კავშირის მასშტაბით პირველად ჩვენს რესპუბლიკაში დაწყებული ექსპერიმენტი: რვაწლიან სკოლა-ინტერნატებში პროფესიულ-ტექნიკური სწავლების შემოღება და ცალკეული პროფტექნიკური ჯგუფების გახსნაც. ექსპერიმენტი წარმატებით მიმდინარეობს მესტიის, ლენტეხის, ზეგეჭკორისა და ქედის რაიონის მახუნცეთის სკოლა-ინტერნატებში.

აღნიშნული ექსპერიმენტი მნიშვნელოვნად აამაღლებს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის წვლილს რესპუბლიკის მზარდი სახალხო მეურნეობის კვალიფიციური მუშათა კადრებით უზრუნველყოფის საქმეში.

ექსპერიმენტის პირველი წლის შედეგებს უახლოეს მომავალში განიხილავს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია, მაგრამ ახლავე შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ექსპერიმენტი შემდგომში უფრო ფართოდ დაინერგება განათლების სამინისტროს სისტემაში.

რესპუბლიკის სახალხო განათლების სისტემის მუშაკები კვლავაც დიდი შემართებით ვიმუშავებთ იმისათვის, რომ განვახორციელოთ ის ამოცანები, ჩვენი პარტიის გენერალურმა მდივანმა რომ დაგვისახა ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში.

ჯ. თუთბერიძე,

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს უფროსი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება

„შრომითი კოლექტივებისა და საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მართვაში მათი როლის ამაღლების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე

„შრომითი კოლექტივებისა და საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მართვაში მათი როლის ამაღლების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის მიღებასთან დაკავშირებით საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ სსრ კავშირის კანონი „შრომითი კოლექტივებისა და საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მართვაში მათი როლის ამაღლების შესახებ“ 1983 წლის 1 აგვისტოდან.

2. დაევალოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს შეუსაბამოს სსრ კავშირის კანონმდებლობა სსრ კავშირის კანონს „შრომითი კოლექტივებისა და საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მართვაში მათი როლის ამაღლების შესახებ“.

3. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ:

შეუსაბამოს სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებანი აღნიშნულ კანონს;

განსაზღვროს „შრომითი კოლექტივებისა და საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მართვაში მათი როლის ამაღლების შესახებ“ სსრ კავშირის კანონიდან გამომდინარე კანონმდებლობის აქტების პროექტების, სსრ კავშირის სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების მიერ მომზადების და წარდგენის წესი;

განიხილოს კანონპროექტის განხილვის დროს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების სხდომებზე დეპუტატთა მიერ გამოთქმული წინადადებები და შენიშვნები, და მიიღოს მათ გამო შესაბამისი ღონისძიებანი.

4. დაევალოთ მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებს შეუსაბამონ მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა სსრ კავშირის კანონს „შრომითი კოლექტივებისა და საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მართვაში მათი როლის ამაღლების შესახებ“.

5. სახალხო დეპუტატთა საბჭოებმა, მათმა აღმასრულებელმა და განმკარგულებელმა ორგანოებმა, სამინისტროებმა, სახელმწიფო კომიტეტებმა და უწყებებმა, სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების ხელმძღვანელებმა განიხილონ „შრომითი კოლექტივებისა და საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მართვაში მათი როლის ამაღლების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის პროექტის განხილვასთან დაკავშირებით შემოსული მოქალაქეთა წინადადებები და შენიშვნები ამ ორგანოების საქმიანობის საკითხებზე და განახორციელონ ღონისძიებანი მათი რეალიზაციისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ი. ანდროპოვი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. მენთეშაშვილი.**
მოსკოვი, კრემლი. 1983 წლის 17 ივნისი.

მოსკოვი ეგებება

რუსეთის სფს რესპუბლიკაში დაიწყო საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების დღეები

მოსკოვი, 18 ივნისი. (**საქინფორმის სპეც. კორ.**). 11 საათსა და 05 წუთზე მოსკოვის ვნუკოვოს აეროპორტში დაეშვა პირველი იმ ოთხი ტუ-154 თვითმფრინავიდან, რომლებიც დღეს სპეციალური რეისით გამოფრინდნენ თბილისიდან. რუსეთის სფს რესპუბლიკაში საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების მონაწილეებმა ფეხი დადგეს მოსკოვის სტუმართმოყვარე მიწაზე. წლევანდელი ზეიმი უკავშირდება ქართველი და რუსი ხალხებისათვის ისტორიული მოვლენის იუბილეს — გეორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერის 200 წლისთავს.

ნამდვილი რუსული სტუმართმოყვარეობა გაუწიეს მოძმე საქართველოს წარგზავნილებს. თვითმფრინავის კიბესთან რუსულ ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილმა ქალიშვილებმა სტუმრებს მიართვეს პურ-მარილი. ჩვენი რესპუბლიკის დელეგაციას, რომელსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ენუქიძე მეთაურობს, აეროპორტში დახვდნენ მოსკოვის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები, კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეები, გმირი ქალაქის სამრეწველო საწარმოთა მოწინავე მუშები.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ჩერქეზია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ნ. ჯანბერიძე, შემოქმედებითი კავშირების ხელმძღვანელები, ცნობილი საბჭოთა მწერლები, მხატვრები, კინორეჟისორები, მსახიობები. მოსკოვში ჩამოვიდნენ რესპუბლიკის საუკეთესო შემოქმედებითი კოლექტივები, სულ დაახლოებით 600 კაცი.

აეროპორტში საბჭოთა საქართველოდან ჩამოსულ სტუმრებს მიესალმნენ რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ე. კარპოვა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგის პირველი მოადგილე ზ. თუმანოვა, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი ა. როგანოვი, რუსეთის სფსრ კულტურის მინისტრი ე. მელენტიევი, რუსეთის სფსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი ი. ობრაზცოვი, რუსეთის სფსრ მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი ს. მიხალკოვი, რუსეთის სფსრ მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, რესპუბლიკის სახალხო მხატვარი ს. ტკაჩოვი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენელი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში თ. ხაჩიძე და სხვები.

მრავალფეროვანია მომავალი დათვალიერების აფიშა. ეს დათვალიერება გაიხსნება 20 ივნისს სსრ კავშირის დიდ თეატრში საზეიმო კონცერტით. დედაქალაქის საკონცერტო დარბაზებსა და კულტურის სასახლეებში გამოვლენ საქართველოს სახელმწიფო დამსახურებული სიმფონიური ორკესტრი, საქართველოს ხალხური ცეკვის აკადემიური ანსამბლი, კამერული ორკესტრი, ანსამბლი „რუსთავი“, ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლები „ორერა“, „ვია-75“, სხვა მუსიკალური კოლექტივები. შექსპირის ტრაგედიის „ოტელოს“ ახალი დადგმა გამოაქვს მოსკოველთა სამსჯავროზე კ. მარჯანიშვილის სახელობის აკადემიურ დრამატულ თეატრს.

საინტერესო პროგრამა ელით კინოსა და სახვითი ხელოვნების მოყვარულთ.

რუსეთის სფს რესპუბლიკაში საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების დღეები, რომელიც მოსკოვში დაიწყო, გაგრძელდება ლენინგრადსა და სვერდლოვსკში, სტავროპოლსა და ვლადიმირში.

◆ ◆

სურათზე: შეხვედრა მოსკოვის აეროპორტში.

საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის კანონი შრომითი კოლექტივებისა და საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მართვაში მათი როლის ამაღლების შესახებ

საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის შრომითი კოლექტივი სოციალისტური საზოგადოების ძირითადი უჯრედია და სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად ახორციელებს ფართო უფლებამოსილებას ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში. სსრ კავშირში შრომითი კოლექტივების საქმიანობას საფუძვლად უდევს წარმოების საშუალებათა სოციალისტური საკუთრება და ეკონომიკის გეგმიანი განვითარება; შრომითს კოლექტივებში ერთობლივი შრომა ხორციელდება ამხანაგური თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების საწყისებზე, უზრუნველყოფილია სახელმწიფო, საზოგადოებრივი და პირადი ინტერესების ერთიანობა, მკვიდრდება კოლექტივის წინაშე თითოეულისა და თითოეული მუშაკისათვის კოლექტივის პასუხისმგებლობის პრინციპი. შრომითი კოლექტივები მოწოდებული არიან ამრავლებდნენ ქვეყნის მატერიალურ და სულიერ სიმდიდრეებს, რაციონალურად იყენებდნენ არსებულ რესურსებს, დაუცხრომლად ზრუნავდნენ კოლექტივის წევრებისათვის, მათი შრომის, ყოფისა და დასვენების პირობების გაუმჯობესებისათვის.

მომწიფებული სოციალიზმის პირობებში მაღლდება შრომითი კოლექტივების როლი საწარმოო, საზოგადოებრივ და სახელმწიფო ცხოვრებაში, ფართოვდება საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა მართვაში მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობანი, ხორციელდება ნამდვილი სოციალისტური თვითმმართველობა, რომელიც ვითარდება კომუნიზმის მშენებლობის დროს.

შეგნებული დისციპლინა და მაღალი ორგანიზებულობა შრომითი კოლექტივების მუშაობაში, კოლექტივების წევრთა ინიციატივა და აქტიურობა, მასობრივი ტექნიკური შემოქმედება წარმოების ინტენსიფიკაციის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდის, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების, პიროვნების ყოველმხრივი განვითარების აუცილებელი პირობებია.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო, ახორციელებენ რა სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარების კურსს, თანამიმდევრულად ასხამენ ხორცს ლენინურ დებულებებს მართვაში მშრომელთა მონაწილეობის შესახებ, იმის შესახებ, რომ თითოეული მშრომელი თავს უნდა გრძნობდეს თავის საწარმოში ბატონ-პატრონად და მთელი ქვეყნის წარმომადგენლად. საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა მართვის შემდგომი დემოკრატიზაცია განუყრელად არის დაკავშირებული შრომითს კოლექტივებში მოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტიურობის ამაღლებასთან. მშრომელთა პოლიტიკური შეგნების, მათი კულტურული და პროფესიული დონის ამაღლება, მართვისა და მეურნეობრიობის სრულყოფა ქმნის წანამძღვარებს, რათა გაფართოვდეს შრომითი კოლექტივების უფლებები და გაძლიერდეს მათი პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე.

I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა შრომითი კოლექტივები.

საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის შრომითი კოლექტივი ყველა იმ მუშაკის გაერთიანებაა, რომლებიც ეწევიან ერთობლივ შრომითს საქმიანობას სახელმწიფო, საზოგადოებრივ საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში, კოლმეურნეობასა და სხვა კოოპერაციულ ორგანიზაციაში.

ერთიანი შრომითი კოლექტივის შემადგენლობაში საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის სტრუქტურის შესაბამისად მოქმედებენ საამქროების, განყოფილებების, უბნების, ბრიგადებისა და სხვა ქვეგანაყოფების კოლექტივები.

შრომითი კოლექტივები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ორგანიზაციათა ხელმძღვანელობით ახორციელებენ ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ ფუნქციებს, რომელთა მიზანია სსრ კავშირის საზოგადოებრივი წყობილების, სოციალისტური ცხოვრების წესის ყოველი ღონისძიებით განმტკიცება და განვითარება, ხელს უწყობენ მშრომელთა აქტიურ მონაწილეობას საწარმოო, საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა მართვაში.

შრომითი კოლექტივის ვალი და მოვალეობაა მაღალნაყოფიერი შრომა, პარტიის გადაწყვეტილებათა განხორციელება, საბჭოთა კანონებისა და მთავრობის დადგენილებათა განუხრელი შესრულება, სახელმწიფო გეგმებისა და სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება, მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლება, შრომის, საწარმოო და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცება, მუდმივი ზრუნვა კოლექტივის წევრთა შრომითი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტიურობის განვითარებისათვის, კომუნიზმის მშენებელთა მორალური პრინციპების სულისკვეთებით მათი აღზრდისათვის.

საბჭოთა სახელმწიფო შრომითს კოლექტივებს უქმნის დაკისრებული ამოცანების შესრულებისა და თავიანთ უფლებამოსილებათა განხორციელების საჭირო პირობებს.

მუხლი 2. კანონმდებლობა შრომითი კოლექტივების შესახებ.

კანონმდებლობა შრომითი კოლექტივების შესახებ შედგება ამ კანონისაგან, რომელიც განსაზღვრავს შრომითი კოლექტივების ძირითად უფლებებსა და მოვალეობებს, მათს უფლებამოსილებას საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა მართვაში, აგრეთვე სსრ კავშირის კანონმდებლობის სხვა აქტებისა და მათ შესაბამისად შრომითი კოლექტივების საქმიანობის ცალკეულ საკითხებზე გამოცემული მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის აქტებისაგან.

პირნი, რომელთაც ბრალი მიუძღვით შრომითი კოლექტივების შესახებ კანონმდებლობის დარღვევაში, პასუხს აგებენ დადგენილი წესით.

მუხლი 3. შრომითი კოლექტივები და სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოები.

სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოები სსრ კავშირის კონსტიტუციისა და საბჭოთა კანონების შესაბამისად თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში დემოკრატიული ცენტრალიზმის საფუძველზე უზრუნველყოფენ სახელმწიფო ხელმძღვანელობას შრომითი კოლექტივების საქმიანობისადმი.

შრომითი კოლექტივები განიხილავენ სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის საკითხებს, რომლებიც მათს განსახილველად გამოაქვთ სახალხო დეპუტატთა საბჭოებსა და მათ წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოებს; შეაქვთ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების განსახილველად წინადადებანი მათს ტერიტორიაზე კომპლექსური ეკონომიკური და სოციალური განვითარების შესახებ, აგრეთვე სხვა საკითხებზე, რომლებიც შესაბამისი ადგილობრივი საბჭოების კომპეტენციას განეკუთვნება.

შრომითი კოლექტივების აზრსა და წინადადებებს ითვალისწინებენ სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოები იმ გადაწყვეტილებათა მიღების დროს, რომლებიც შესაბამის საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა საქმიანობას ეხება.

სახალხო დეპუტატთა საბჭოები, მათი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოები, სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები და უწყებები, სამეურნეო ორგანოები უზრუნველყოფენ საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა შეუფერხებელი და რიტმული მუშაობის პირობებს, ყოველნაირად უწყობენ ხელს შრომითი კოლექტივების საქმიანობაში დემოკრატიული საწყისების განვითარებას.

სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოები შრომითს კოლექტივებს აწვდიან ინფორმაციას თავიანთი მუშაობის, მიღებულ გადაწყვეტილებათა და მათი შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

მუხლი 4. საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა მართვაში შრომითი კოლექტივების მონაწილეობის პრინციპები.

შრომითი კოლექტივები საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა მართვაში მონაწილეობენ იმ საფუძველზე, რომ:

ჰარმონიულად უხამებენ ერთმანეთს სახელმწიფოს, საზოგადოების, კოლექტივისა და პიროვნების ინტერესებს;

უხამებენ ერთმანეთს ადმინისტრაციის ერთმმართველობასა და მშრომელთა ფართო მონაწილეობას მართვაში;

უზრუნველყოფენ შრომითი კოლექტივის უფლებათა და მოვალეობათა ერთიანობას;

განუხრელად იცავენ შრომის, საწარმოო და სახელმწიფო დისციპლინას, სოციალისტურ კანონიერებას, იცავენ კოლექტივის თითოეული წევრის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს;

ყოველნაირად ავითარებენ კოლექტივის წევრთა შრომითსა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აქტიურობასა და შემოქმედებითს ინიციატივას, უზრუნველყოფენ მათს მონაწილეობას შრომითი კოლექტივის უფლებამოსილებათა განხორციელებაში, ქმნიან პირობებს პიროვნების ყოველმხრივი განვითარებისათვის;

კოლექტიურად განიხილავენ და წყვეტენ საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა საქმიანობის საკითხებს;

ავითარებენ კრიტიკასა და თვითკრიტიკას, ყოველმხრივ აფასებენ თანამდებობის პირთა და კოლექტივის სხვა წევრთა საქმიანობას, ამაღლებენ კოლექტივის წევრთა პასუხისმგებლობას მის წინაშე დასახული ამოცანების შესრულებისათვის;

უზრუნველყოფენ საჯაროობას, კოლექტივის წევრთა სისტემატურ ინფორმირებას საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა საქმიანობის შესახებ, ითვალისწინებენ საზოგადოებრივ აზრს.

მუხლი 5. შრომითი კოლექტივების ძირითადი უფლებამოსილებანი სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეთა განხილვასა და გადაწყვეტაში.

შრომითი კოლექტივები სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად:

განიხილავენ კანონების, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების გადაწყვეტილებების პროექტებს, რომლებიც შრომითი კოლექტივის ინტერესებს ეხება, და განსახილველად გამოტანილი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა საკითხებს და მათ გამო წარადგენენ თავიანთ წინადადებებს;

ასახელებენ სახალხო დეპუტატთა საბჭოების კანდიდატებს, წარმომადგენლებს საარჩევნო კომისიათა შემადგენლობაში;

ისმენენ სახალხო დეპუტატთა საბჭოების იმ დეპუტატების ანგარიშებს, რომლებიც შრომითმა კოლექტივმა დაასახელა, აგრეთვე სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების, მათი განყოფილებებისა და სამმართველოების ანგარიშებს;

ასახელებენ სახალხო მოსამართლეობის კანდიდატებს: ირჩევენ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულებსა და ისმენენ მათს ანგარიშებს;

აღძრავენ საკითხს სახალხო დეპუტატთა საბჭოების დეპუტატების, სახალხო მოსამართლეების გაწვევის შესახებ, გაიწვევენ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულებს, რომლებმაც ვერ გაამართლეს ამომრჩეველთა ნდობა;

ირჩევენ მუდმივმოქმედ საწარმოო თათბირებს, სახალხო კონტროლის კომიტეტებს, ჯგუფებსა და საგუშაგოებს, ამხანაგურ სასამართლოებსა და შრომითს კოლექტივებში მოქმედ სხვა საზოგადოებრივ ორგანოებს და ისმენენ მათს ანგარიშებს;

განიხილავენ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა საკითხებს.

II. შრომითი კოლექტივების ძირითადი უფლებამოსილებანი საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა მართვაში

მუხლი 6. შრომითი კოლექტივების უფლებამოსილებანი ეკონომიკური და სოციალური განვითარების დაგეგმვაში.

შრომითი კოლექტივები:

მონაწილეობენ საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა ეკონომიკური და სოციალური განვითარების პერსპექტიული და მიმდინარე გეგმების (მუშაობის გეგმების) პროექტების შემუშავებასა და განხილვაში. აღნიშნული გეგმების პროექტებს დასამტკიცებლად წარადგენენ შრომითი კოლექტივების მიერ მათი განხილვის შემდეგ;

სახავენ და იღებენ შემხვედრ გეგმებს, რომლებიც ითვალისწინებენ დამატებითს რეზერვებსა და შესაძლებლობებს;

ახორციელებენ გეგმებისა და სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების, სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებისა და განვითარების ღონისძიებებს;

ამტკიცებენ და ახორციელებენ შრომის ნაყოფიერების გადიდების, წარმოების ეფექტიანობის, მუშაობისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლების ღონისძიებებს;

ისმენენ ადმინისტრაციის ინფორმაციას, გეგმებისა და სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობის, გეგმების შეცვლის მიზეზების, საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის შედეგების შესახებ და აძლევენ შესაბამის რეკომენდაციებს, საჭიროების შემთხვევაში კი მათ აცნობებენ ზემდგომ ორგანოებს.

მუხლი 7. შრომითი კოლექტივების უფლებამოსილებანი კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადებაში.

შრომითი კოლექტივები:

მონაწილეობენ კოლექტიურ ხელშეკრულებათა შემუშავებაში, განიხილავენ მათ და იღებენ მათ გამო გადაწყვეტილებებს, უფლებით აღჭურავენ საწარმოთა და ორგანიზაციათა პროფკავშირულ კომიტეტებს ხელი მოაწერონ ამ ხელშეკრულებებს;

ახორციელებენ კოლექტიურ ხელშეკრულებათა შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებებს;

ისმენენ საწარმოთა, ორგანიზაციათა ადმინისტრაციისა და პროფკავშირული კომიტეტების ანგარიშებს კოლექტიურ ხელშეკრულებათა შესრულების შესახებ; საჭიროების შემთხვევაში სვამენ საკითხებს იმ პირთა პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებიც არ ასრულებენ ვალდებულებებს კოლექტიური ხელშეკრულებების მიხედვით.

მუხლი 8. შრომითი კოლექტივების უფლებამოსილებანი სოციალისტური საკუთრების დაცვა-შენახვისა და მატერიალური რესურსების რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფაში.

შრომითი კოლექტივები:

ახორციელებენ ღონისძიებებს, რომლებიც მიზნად ისახავს სოციალისტური საკუთრების დაცვა-შენახვისა და მისი გამრავლების უზრუნველყოფას, უყაირათობისა და სახალხო დოვლათისადმი დაუდევარი დამოკიდებულების წინააღმდეგ ბრძოლას, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცებათა თავიდან აცილებას;

შეაქვთ წინადადებანი და ახორციელებენ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია შინაგანი რეზერვების უფრო სრული გამოვლენა და გამოყენება, ნედლეულისა და მასალების, ენერგიისა და სათბობის მეცნიერულად დასაბუთებული ნორმირების, მათი რაციონალური და ეკონომიური ხარჯვის უზრუნველყოფა, დანაკარგებისა და საწარმოო წუნის მიზეზების აღმოფხვრა, მოწყობილობის, მანქანებისა და სხვა ძირითადი ფონდების ეფექტიანი გამოყენება;

ახორციელებენ მიწის, წიაღის, წყლის, ტყისა და სხვა ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების ღონისძიებებს;

სვამენ დადგენილი წესით იმ მუშაკთა პასუხისმგებლობის საკითხებს, რომლებსაც ბრალი მიუძღვით სოციალისტური საკუთრების დაცვისა და მატერიალური და ფინანსური რესურსების რაციონალური გამოყენების შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევაში; უხარისხო და არასტანდარტული პროდუქციის გამოშვებაში.

მუხლი 9. შრომითი კოლექტივების უფლებამოსილებანი შრომის დისციპლინის უზრუნველყოფაში.

შრომითი კოლექტივები:

ამტკიცებენ ადმინისტრაციისა და პროფკავშირული კომიტეტის წარდგენით შრომითს შინაგანაწესს, იღებენ ზომებს მისი დაცვის უზრუნველყოფისათვის;

განიხილავენ შრომის დისციპლინის მდგომარეობას და ახორციელებენ მისი განმტკიცების ღონისძიებებს;

შრომაში წარმატებებისათვის იყენებენ საზოგადოებრივი წახალისების ღონისძიებებს, ასახელებენ მუშაკებს მორალური და მატერიალური წახალისებისათვის; გამოთქვამენ აზრს სახელმწიფო ჯილდოებზე წარდგენილი კანდიდატურების შესახებ.

აწესებენ დამატებით შეღავათებსა და უპირატესობებს ამ მიზნით მოქმედი წესის შესაბამისად გამოყოფილი სახსრების ხარჯზე წარმოების ნოვატორებისა და მოწინავეებისათვის, აგრეთვე იმ პირებისათვის, რომლებიც ხანგრძლივი დროის მანძილზე კეთილსინდისიერად მუშაობენ საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში;

უზრუნველყოფენ შრომის დისციპლინის დარღვევებისადმი შეუწყნარებლობის ვითარების შექმნას, იჩენენ მკაცრ ამხანაგურ მომთხოვნელობას მუშაკებისადმი, რომლებიც არაკეთილსინდისიერად ასრულებენ შრომითს მოვალეობებს; იყენებენ კოლექტივის წევრების მიმართ შრომის დისციპლინის დარღვევისათვის საზოგადოებრივი სასჯელის ღონისძიებებს (ამხანაგური შენიშვნა, საზოგადოებრივი საყვედური), გადასცემენ მასალებს შრომის დისციპლინის დამრღვევთა შესახებ ამხანაგური სასამართლოების განსახილველად;

სვამენ საკითხებს, რომ შრომის დისციპლინის დამრღვევთ კანონმდებლობის შესაბამისად დააკისრონ პასუხისმგებლობა, დროებით გადაიყვანონ დაბალხელფასიან სამუშაოზე და დაითხოვონ კიდეც, სრულიად არ მისცენ ან შეუმცირონ პრემიები, გასამრჯელო წლიური მუშაობის შედეგების მიხედვით და ნამსახურობისათვის, დამატებითი შვებულება მუშაობის უწყვეტი სტაჟისათვის, აანაზღაურებინონ საწარმოსათვის, დაწესებულების, ორგანიზაციისათვის მიყენებული მატერიალური ზარალი, გადაუწიონ საცხოვრებელი ფართობის მიღების რიგითობა და გამოიყენონ კანონმდებლობით გათვალისწინებული ზემოქმედების სხვა ღონისძიებანი.

შრომითს კოლექტივს უფლება აქვს მოხსნას მის მიერ დადებული სასჯელი ვადამდე, მისი გამოყენების დღიდან ერთი წლის გასვლამდე, აგრეთვე აღძრას შუამდგომლობა დისციპლინური სასჯელის ვადამდე მოხსნის ან ადმინისტრაციის მიერ შრომის დისციპლინის დარღვევისათვის გამოყენებული ზემოქმედების სხვა ღონისძიებათა მოქმედების შეწყვეტის შესახებ, თუ კოლექტივის წევრს ხელახლა არ დაურღვევია შრომის დისციპლინა, და თავი გამოიჩინა როგორც კეთილსინდისიერმა მუშაკმა.

მუხლი 10. შრომითი კოლექტივების უფლებამოსილებანი წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დანერგვის, მუშაკთა შემოქმედებითი ინიციატივის განვითარების დარგში.

შრომითი კოლექტივები:

ახორციელებენ ღონისძიებებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, წარმოებაში მეცნიერების მიღწევების, ახალი ტექნიკის, მოწინავე ტექნოლოგიის, შრომისა და მართვის მეცნიერული ორგანიზაციის ფართო დანერგვისათვის;

ხელს უწყობენ მუშაკთა მასობრივ ტექნიკურ შემოქმედებას, გამომგონებლობასა და რაციონალიზაციას, წარმოების ნოვატორთა უფლებების დაცვას; მხარს უჭერენ სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებებს, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა ორგანიზაციებს;

იყენებენ მორალური სტიმულირების ღონისძიებებს და შეაქვთ წინადადებანი იმ მუშაკთა წახალისების შესახებ, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ ახალი ტექნიკის, ტექნოლოგიის შემუშავებასა და დანერგვაში, მოწინავე გამოცდილების გავრცელებაში;

ისმენენ ადმინისტრაციის ინფორმაციას მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის, შემოქმედებითი ინიციატივის, გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის განვითარების ღონისძიებათა განხორციელების შესახებ, იძლევიან შესაბამის რეკომენდაციებს.

მუხლი 11. შრომითი კოლექტივების უფლებამოსილებანი შრომის ორგანიზაციის, ნორმირებისა და ანაზღაურების დარგში.

შრომითი კოლექტივები:

სახავენ და ახორციელებენ შრომის ორგანიზაციის იმ პროგრესული ფორმების დანერგვის ღონისძიებებს, რომლებიც ხელს უწყობენ მისი ნაყოფიერების გადიდებას, დადგენილი გეგმების შესრულებას პერსონალის ნაკლები რიცხვით, სამუშაო დროის გამოყენების გაუმჯობესებას;

მონაწილეობენ იმ საკითხთა განხილვაში, რომლებიც ეხება პერსონალის რიცხვის შემცირების შედეგად კოლექტივში მიღებული ხელფასის ფონდის ეკონომიის დადგენილი წესით გამოყენებას მოქმედ ნორმებთან (დავალებებთან) შედარებით მეტი მოცულობის სამუშაოთა შემსრულებელი მუშაკების სტიმულირებისათვის;

მონაწილეობენ იმ წინადადებათა შემუშავებაში, რომელთა მიზანია შრომითი დანახარჯების ტექნიკურად დასაბუთებული ნორმების გამოყენების გაფართოება და მათი შესრულებისათვის პირობების შექმნა;

შეაქვთ წინადადებანი, რომ დაიხვეწოს შრომის ანაზღაურება, თითოეული მუშაკის ხელფასი შეესაბამებოდეს პირად შრომითს წვლილს და რომ გაძლიერდეს მისი დამოკიდებულება კოლექტივის მუშაობის საბოლოო შედეგებზე;

განიხილავენ და იწონებენ წინადადებებს მუშაკთა პრემირების სრულყოფისა და მატერიალური წახალისების ფონდის ხარჯზე სხვა გასამრჯელოსა და შეღავათების მიცემის შესახებ;

ახორციელებენ კონტროლს შრომის მოქმედი ნორმებისა და ანაზღაურების პირობების გამოყენებისადმი;

განიხილავენ კომკავშირულ ორგანიზაციათა წინადადებებს კომკავშირულ-ახალგაზრდული კოლექტივების შექმნის შესახებ და შეაქვთ თავიანთი რეკომენდაციები.

მუხლი 12. შრომითი კოლექტივების უფლებამოსილებანი მუშაკთა შრომითი აქტიურობის განვითარებასა და სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციაში.

შრომითი კოლექტივები:

ყოველნაირად ამაღლებენ კოლექტივების წევრთა შრომითს აქტიურობას, ავითარებენ სოციალისტურ შეჯიბრებას, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობას;

ამტკიცებენ საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში სოციალისტური შეჯიბრების პირობებს, განსაზღვრავენ გამარჯვებულთა მორალური და მატერიალური წახალისების ღონისძიებებს;

კისრულობენ სოციალისტურ ვალდებულებებს და ახორციელებენ მათი შესრულების ღონისძიებებს; უზრუნველყოფენ სოციალისტური შეჯიბრების საჯაროობას, აჯამებენ მის შედეგებს და განსაზღვრავენ გამარჯვებულებს;

მონაწილეობენ მოწინავე გამოცდილების გავრცელებისა და დანერგვის ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებაში;

დებენ ხელშეკრულებებს სხვა შრომითს კოლექტივებთან სოციალისტური შეჯიბრებისა და შემოქმედებითი თანამეგობრობის შესახებ;

ისმენენ ადმინისტრაციისა და პროფკავშირული კომიტეტის ინფორმაციებს იმ ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების განხორციელების შესახებ, რომლებიც ხელს უწყობენ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებას, და იძლევიან შესაბამის რეკომენდაციებს.

მუხლი 13. შრომითი კოლექტივების უფლებამოსილებანი კადრების მომზადებაში, კვალიფიკაციის ამაღლებასა და განაწილებაში.

შრომითი კოლექტივები:

მონაწილეობენ კადრების მომზადების, განაწილებისა და რაციონალური გამოყენების, კოლექტივების სტაბილურობის უზრუნველყოფის, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის სტრუქტურის სრულყოფის საკითხთა განხილვასა და გადაწყვეტაში;

რეკომენდაციას აძლევენ კოლექტივის წევრებს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს შრომაში, რომ აუმაღლონ თანრიგი (კლასი) ან დააწინაურონ სამუშაოზე;

განიხილავენ კადრების კვალიფიკაციის ამაღლების, მუშებისათვის ახალი პროფესიების სწავლების, დამრიგებლობის განვითარების, შრომის მოწინავე მეთოდების შემსწავლელი სკოლების მუშაობის საკითხებს;

საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მეშვეობით სსრ კავშირის კანონმდებლობის შესაბამისად მონაწილეობენ საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში ხელმძღვანელ მუშაკთა თანამდებობაზე დანიშვნის საკითხების გადაწყვეტაში; ამ მუშაკთა დანიშვნა და თანამდებობიდან მათი განთავისუფლება ხდება შრომითი კოლექტივის აზრის გათვალისწინებით;

განიხილავენ კომკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობით მომუშავე ახალგაზრდობის განათლების, მისი პროფესიული მომზადების, კოლექტივში დამკვიდრების საკითხებს და შეაქვთ შესაბამისი წინადადებანი; ხელს უწყობენ საშეფო სკოლებში მოსწავლეთა შრომითი აღზრდისა და პროფესიული ორიენტაციის გაუმჯობესებას;

ამტკიცებენ წარმოების მოწინავეთა კანდიდატურებს უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში სასწავლებლად გაგზავნისათვის, რომლებსაც მიეცემათ სტიპენდიები საწარმოთა, ორგანიზაციათა ხარჯზე.

მუხლი 14. შრომითი კოლექტივების უფლებამოსილებანი ეკონომიკური სტიმულირების ფონდების განაწილებასა და გამოყენებაში.

შრომითი კოლექტივები:

მონაწილეობენ მატერიალური წახალისების ფონდის, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ფონდის, წარმოების განვითარების ფონდის სახსრების გამოყენების საკითხთა გადაწყვეტაში; განიხილავენ და იწონებენ ამ ფონდების ხარჯვის ხარჯთაღრიცხვებს, კონტროლს უწევენ მათს შესრულებას. საწარმოებსა და ორგანიზაციებში შექმნილი მატერიალური წახალისების ფონდის, სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრები არ შეიძლება ამოღებულ იქნეს შრომითს კოლექტივებთან შეუთანხმებლად;

მონაწილეობენ მატერიალური წახალისების ფონდის, სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრებისა და აღნიშნული მიზნებისათვის განკუთვნილი სხვა ფონდების (სახსრების) ხარჯზე დადგენილი წესით კოოპერაციულ და ინდივიდუალურ საბინაო მშენებლობაში, საბინაო პირობების გაუმჯობესებასა თუ საოჯახო მეურნეობის მოწყობაში, მუშაკებისათვის მატერიალური დახმარების გაწევის საკითხების გადაწყვეტაში, ამტკიცებენ მუშაკთა კანდიდატურებს, რომლებსაც შეიძლება გაეწიოთ ასეთი მატერიალური დახმარება.

მუხლი 15. შრომითი კოლექტივების უფლებამოსილებანი შრომის პირობებისა და დაცვის გაუმჯობესებაში.

შრომითი კოლექტივები:

განიხილავენ და იწონებენ შრომის პირობებისა და დაცვის გაუმჯობესების და სანიტარიულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების კომპლექსურ გეგმებს და კონტროლს უწევენ ამ გეგმების შესრულებას;

შეაქვთ წინადადებანი წარმოების ტექნიკური განახლების, მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და კულტურის ამაღლების, ხელით, ნაკლებკვალიფიციური და მძიმე ფიზიკური შრომის შემცირების შესახებ, აქტიურად მონაწილეობენ მათს რეალიზაციაში;

სახავენ და ახორციელებენ მომუშავე ქალების შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესების, დედათა და ბავშვთა დაცვის გაძლიერების ღონისძიებებს;

კონტროლს უწევენ შრომის დაცვისათვის განკუთვნილი სახსრების გამოყენებას და ყველა მუშაკის მიერ საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში შრომის დაცვის წესებისა და ინსტრუქციების შესრულებას;

განიხილავენ სოციალური დაზღვევის სახსრების გამოყენების საკითხებს, და შეაქვთ შესაბამისი წინადადებანი;

შეაქვთ წინადადებანი და მონაწილეობენ გარემოს დაცვის გაუმჯობესების ღონისძიებათა განხორციელებაში;

სვამენ საკითხებს, რომ პასუხისმგებლობა დაეკისროთ პირებს, რომლებსაც ბრალი მიუძღვით შრომის დაცვის წესებისა და გარემოს დაცვის შესახებ კანონმდებლობის დარღვევაში.

მუხლი 16. შრომითი კოლექტივების უფლებამოსილებანი მუშაკთა სოციალურ-კულტურული და საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაში.

შრომითი კოლექტივები:

განიხილავენ და იწონებენ სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის გეგმებს, ისმენენ ანგარიშებს მათი შესრულების შესახებ.

მონაწილეობენ საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ პირთა აღრიცხვასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში და შეაქვთ შესაბამისი რეკომენდაციები;

უზრუნველყოფენ კონტროლსა და საჯაროობას ბინების განაწილებაში;

იღებენ გადაწყვეტილებებს, რომ ააშენონ საცხოვრებელი სახლები, სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებანი და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა ობიექტები საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის, ფართო მოხმარების ფონდისა და სხვა ფონდების იმ სახსრების ხარჯზე, რომლებიც განკუთვნილია ამ მიზნებისათვის. აღნიშნული ფონდების ხარჯზე აშენებულ სახლებში საცხოვრებელი ფართობი არ შეიძლება გადაეცეს სხვა ორგანიზაციებს ან გამოყენებული იქნეს სხვა მიზნებისათვის შრომითს კოლექტივთან შეუთანხმებლად:

შეაქვთ წინადადებანი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების შექმნის შესახებ;

განიხილავენ კომუნალური, საყოფაცხოვრებო და სამედიცინო მომსახურების, ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, ტრანსპორტის მუშაობის მდგომარეობას და შეაქვთ შესაბამისი წინადადებანი;

ახორციელებენ საზოგადოებრივ კონტროლს მომსახურების სფეროს საწარმოთა და ორგანიზაციათა, სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა მუშაობისადმი;

მონაწილეობენ საწარმოთა და ორგანიზაციათა დამხმარე მეურნეობების ორგანიზაციისა და საქმიანობის, კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობის, პირადი დამხმარე მეურნეობების განვითარების საკითხთა გადაწყვეტაში;

მონაწილეობენ კოლექტივის წევრებისა და მათი ოჯახების დასვენების მოწყობის, ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების საკითხთა გადაწყვეტაში;

განიხილავენ სპორტული და თავდაცვით-მასობრივი მუშაობის, კოლექტივის წევრებისა და მათი ოჯახების მომსახურე გამაჯანსაღებელი, ბავშვთა, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობის მდგომარეობას და შეაქვთ შესაბამისი წინადადებანი;

ზრუნავენ დიდი სამამულო ომის მონაწილეებისა და პენსიონერებისათვის — შრომითი კოლექტივების ყოფილი წევრებისათვის, ხელს უწყობენ მათს აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივ შრომაში, საბჭოთა ხალხის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციებით ახალგაზრდობის აღზრდაში.

მუხლი 17. შრომითი კოლექტივების უფლებამოსილებანი კომუნისტური აღზრდისათვის მუშაობის ორგანიზაციაში.

შრომითი კოლექტივები:

ახორციელებენ კოლექტივის წევრთა კომპლექსური იდეურ-პოლიტიკური, შრომითი, ზნეობრივი და სამართლებრივი აღზრდისა და ეკონომიკური განათლების, კოლექტივში ჯანსაღი მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის უზრუნველყოფის, მშრომელებისათვის თავიანთი კოლექტივის წევრობის გამო სიამაყის გრძნობის ჩანერგვის, საბჭოთა ტრადიციების და წეს-ჩვეულებების დანერგვისა და განვითარების ღონისძიებებს;

მონაწილეობენ მოსახლეობას შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითს და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობაში, ისეთი პირობების შექმნაში, რომლებიც ხელს უწყობენ ოჯახის განმტკიცებასა და ბავშვთა აღზრდის გაუმჯობესებას, ყოფა-ცხოვრებაში კომუნისტური ზნეობის ნორმების დამკვიდრებას;

იწონებენ კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებათა გეგმებს;

ახორციელებენ ღონისძიებებს, რათა კოლექტივის წევრები აღზარდონ საბჭოთა პატრიოტიზმის, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის, ხალხთა მეგობრობისა და ძმობის, კანონების დაცვისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების პატივისცემის, სახალხო დოვლათისადმი ყაირათიანი დამოკიდებულების, ლოთობის, ხულიგნობის, მომხვეჭელობისა და კომუნისტური მორალის სხვა ანტიპოდებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით;

მონაწილეობენ სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისათვის მუშაობაში, ახორციელებენ სამართლის დამრღვევ პირთა ხელახალი აღზრდის ღონისძიებებს.

მუხლი 18. საწარმოო ბრიგადის კოლექტივის ძირითადი უფლებამოსილებანი.

საწარმოო ბრიგადის — საწარმოს, ორგანიზაციის, შრომითი კოლექტივის პირველადი რგოლის კოლექტივის უფლებამოსილებანი განისაზღვრება ამ კანონის შესაბამისად ბრიგადების შესახებ დებულებებით, რომლებიც მტკიცდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

საწარმოო ბრიგადის კოლექტივი:

უშუალოდ ან ბრიგადის საბჭოს მეშვეობით მონაწილეობს ბრიგადის დაკომპლექტების, მისი მუშაობის დაგეგმვისა და ორგანიზაციის, შრომის ანაზღაურებისა და სტიმულირების, მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების, ბრიგადის წევრთა აღზრდის, დისციპლინის დამრღვევთა პასუხისგებაში მიცემის საკითხთა გადაწყვეტაში;

აძლევს თანხმობას ადმინისტრაციას ბრიგადირის დანიშვნაზე, უფლება აქვს მოსთხოვოს ადმინისტრაციას მისი განთავისუფლება ბრიგადირის მოვალეობისაგან, თუ ვერ გაამართლა კოლექტივის ნდობა.

ირჩევს საზოგადოებრივ ორგანოს — ბრიგადის საბჭოს.

III. საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა მართვაში შრომითი კოლექტივების უფლებამოსილებათა განხორციელება

მუხლი 19. საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა მართვაში შრომითი კოლექტივების უფლებამოსილებათა განხორციელების ფორმები.

შრომითი კოლექტივების უფლებამოსილებებს ახორციელებენ უშუალოდ საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა შრომითი კოლექტივების საერთო კრებები (კონფერენციები).

კრებებს შუა პერიოდში შრომითი კოლექტივების უფლებამოსილებებს ახორციელებენ:

ერთობლივად ადმინისტრაცია და პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების არჩევითი ორგანოები;

პროფკავშირული და შრომითს კოლექტივებში მოქმედი სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები თავიანთი წესდებებისა და საბჭოთა კანონების შესაბამისად.

საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა ადმინისტრაცია თავისი უფლებამოსილებების შესაბამისად ან შრომითი კოლექტივების დავალებით.

ადმინისტრაცია და პროფკავშირული კომიტეტი სისტემატურად აწვდიან ინფორმაციას შრომითი კოლექტივის წევრებს საერთო კრებებს შუა პერიოდში შრომითი კოლექტივის უფლებამოსილებათა განხორციელებისათვის თავიანთი საქმიანობის შესახებ.

მუხლი 20. შრომითი კოლექტივების საერთო კრებები (კონფერენციები).

საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა შრომითი კოლექტივების საერთო კრებები (კონფერენციები) განიხილავენ შრომითი კოლექტივების ცხოვრებისა და საქმიანობის უმნიშვნელოვანეს საკითხებს. საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა შრომითი კოლექტივების კრებები (კონფერენციები) შეიძლება გაიმართოს აგრეთვე საამქროებში, განყოფილებებში, უბნებზე, ბრიგადებსა და სხვა ქვეგანაყოფებში.

შრომითი კოლექტივების კონფერენციები ეწყობა საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, სადაც კრებების მოწვევა გაძნელებულია მრავალცვლიანობის ან საამქროების, განყოფილებების, უბნებისა და სხვა სტრუქტურული ქვეგანაყოფების ტერიტორიული დაქსაქსულობის გამო. კონფერენციის დელეგატებს ირჩევენ შრომითი კოლექტივის მიერ განსაზღვრული ნორმებითა და წესით.

საკითხები შრომითი კოლექტივების კრებების (კონფერენციების) განსახილველად შეაქვთ პარტიული, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ადმინისტრაციის, სახალხო კონტროლის ორგანოების, მუდმივმოქმედი საწარმოო თათბირების, კოლექტივების ცალკეულ წევრთა ინიციატივით, აგრეთვე ადმინისტრაციისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ერთობლივი ინიციატივით. შრომითი კოლექტივების კრებებს (კონფერენციებს) ერთად იწვევენ საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა პროფკავშირული კომიტეტები და ადმინისტრაცია.

საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა შრომითი კოლექტივების კრებები (კონფერენციები) იმართება საჭიროების მიხედვით, მაგრამ წელიწადში არანაკლებ ორჯერ.

კრება ითვლება უფლებამოსილად, თუ მასში მონაწილეობს კოლექტივის წევრთა საერთო რიცხვის სულ ცოტა ნახევარი, ხოლო კონფერენცია — დელეგატთა სულ ცოტა ორი მესამედი.

მუხლი 21. შრომითი კოლექტივების კრებების (კონფერენციების) გადაწყვეტილებანი.

შრომითი კოლექტივის საერთო კრების (კონფერენციის) გადაწყვეტილებანი მიიღება კრებაზე (კონფერენციაზე) მყოფ კოლექტივის წევრთა ხმის უმრავლესობით და ღია კენჭისყრით, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის საამქროებსა და სხვა ქვეგანაყოფებში. შრომითი კოლექტივის კრების მოწყობისას გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას ხმას მისცემს კრებაზე მყოფი შრომითი კოლექტივის წევრთა უმრავლესობა. გადაწყვეტილებანი ეცნობება კოლექტივის ყველა წევრს.

შრომითი კოლექტივის კრების (კონფერენციის) გადაწყვეტილებანი, რომლებიც მიღებულია მისი უფლებამოსილებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სავალდებულოა საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის, კოლექტივის წევრებისათვის, ადმინისტრაციისათვის.

კონტროლს შრომითი კოლექტივის კრების (კონფერენციის) გადაწყვეტილების შესრულებისადმი ახორციელებენ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის პროფკავშირული კომიტეტი, აგრეთვე ადმინისტრაცია მისი უფლებამოსილების შესაბამისად, ან კრების (კონფერენციის) დავალებით, რომლებიც ინფორმაციას აწვდიან შრომითს კოლექტივს გადაწყვეტილებათა შესრულების შესახებ.

შრომითი კოლექტივების წინადადებანი და რეკომენდაციები ერთი თვის განმავლობაში უნდა განიხილონ ადმინისტრაციამ, პროფკავშირულმა და სხვა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, საჭიროების შემთხვევაში კი შესაბამისმა სახელმწიფო და საზოგადოებრივმა ორგანოებმაც. წინადადებათა და რეკომენდაციათა განხილვის შედეგებს ადმინისტრაცია, აღნიშნული ორგანიზაციები და ორგანოები აცნობებენ შრომით კოლექტივს.

IV. ამ კანონის მოქმედება და მისი გამოყენების თავისებურებანი

მუხლი 22. ამ კანონის მოქმედება ვრცელდება ყველა საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის შრომითს კოლექტივებზე, აგრეთვე მათი საამქროების, განყოფილებებისა და სხვა ქვეგანაყოფების კოლექტივებზე მათი კომპეტენციის ფარგლებში.

კოლმეურნეობების, სხვა კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების შრომითს კოლექტივებში ეს კანონი გამოიყენება მათი საქმიანობის მარეგულირებელ შესაბამის წესდებათა და დებულებათა გათვალისწინებით.

მუხლი 23. ამ კანონის გამოყენების თავისებურებანი.

სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებსა და სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროში ამ კანონის დებულებათა გამოყენების თავისებურებებს, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით ადგენს სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტები, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გადაწყვეტილებები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ი. ანდროპოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. 1983 წლის 17 ივნისი.

სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესია

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის თ. ნ. მენთეშაშვილის მოხსენება

პატივცემულო ამხანაგო დეპუტატებო!

დავალებული მაქვს მოგახსენოთ თქვენს განსახილველად წარმოდგენილ ბრძანებულებებზე, რომლებიც მეშვიდე სესიის შემდეგ მიიღო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა.

ხელმძღვანელობდა რა პარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისისა და ნოემბრის პლენუმების გადაწყვეტილებებით, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი თავის მუშაობას ახმარდა ეკონომიკის შემდგომ აღმავლობას, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას, მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფას. მუდმივი ყურადღება ეთმობოდა საბჭოების როლის ამაღლებას სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. მშრომელთა კომუნისტური აღზრდის, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის, სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების საკითხებს. ამ ხნის მანძილზე გაიმართა პრეზიდიუმის ოთხი სხდომა და პალატების მუდმივი კომისიების ცხრა სხდომა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მთელი საქმიანობა მიმდინარეობს ლენინური, კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს მზრუნველი ხელმძღვანელობითა და მუდმივი დახმარებით.

სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მუშაობის შინაარსზე უაღრესად სასიკეთო გავლენას მოახდენს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ იური ვლადიმერის ძე ანდროპოვის ერთსულოვანი არჩევა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ.

ეს უმნიშვნელოვანესი მოვლენა, რომელიც შეესაბამება საბჭოთა საზოგადოებისა და სახელმწიფოს უმაღლეს ინტერესებს, შთაგვაგონებს ყველას, გვიმაღლებს პასუხისმგებლობას და იწვევს ჩვენს გულწრფელ სურვილს ვიშრომოთ უკეთ, უფრო შემოქმედებითად, ძალ-ღონისა და ენერგიის დაუზოგავად.

წერილებსა და დეპეშებში, რომლებიც უწყვეტ ნაკადად მოდის სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში, საბჭოთა ადამიანები მხურვალედ იწონებენ და ერთსულოვნად უჭერენ მხარს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის შედეგებსა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებებს.

დეპუტატები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, რომლებიც გამოხატავენ თავიანთი ამომრჩევლების აზრებსა და მისწრაფებებს, გულითადად გილოცავენ თქვენ, დიდად პატივცემულო იური ვლადიმერის ძევ, უმაღლეს სახელმწიფო პოსტზე არჩევას და სულითა და გულით გისურვებენ დიდ წარმატებებს თქვენს ნაყოფიერ პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეობაში.

ამხანაგო დეპუტატებო! სესიის დასამტკიცებლად შემოტანილი ბრძანებულებანი ეხება სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის სხვადასხვა საკითხს. ყველა ეს ბრძანებულება დადგენილი წესით გამოქვეყნდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში, გარდა ამისა ბევრი მათგანი პრესაშიც გაშუქდა. ბრძანებულებების ტექსტები ხელთა გაქვთ.

ამიტომ, ნება მიბოძეთ, მოკლედ შევეხო მათ. 1983 წლის 11 მაისს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაამტკიცა სსრ კავშირის ახალი საჰაერო კოდექსი. მან ხელი უნდა შეუწყოს სამოქალაქო ავიაციის საქმიანობის გაუმჯობესებას, სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებების უფრო სრულ დაკმაყოფილებას საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესების დაცვის გაძლიერებას.

სოციალიზმის ქვეყნების საწარმოო კოოპერაციის შემდგომ განვითარებასთანაა დაკავშირებული „სსრ კავშირის ტერიტორიაზე სსრ კავშირისა და ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი სხვა ქვეყნების გაერთიანებული, სამეურნეო ორგანიზაციების საქმიანობის განხორციელების წესის შესახებ“ ბრძანებულების მიღება. ეს ორგანიზაციები იქმნება სსრ კავშირის მთავრობისა და ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მთავრობათა მორიგებით და მოქმედებენ სსრ კავშირის, მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობისა და შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე.

უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1983 წლის 31 მაისის ბრძანებულებით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული უცხოეთის ტურიზმის მთავარი სამმართველო გარდაქმნა სსრ კავშირის უცხოეთის ტურიზმის სახელმწიფო კომიტეტად. რაც ხელს შეუწყობს ამ დარგში ხელმძღვანელობის გაუმჯობესებას.

განვლილ პერიოდში გრძელდებოდა მუშაობა სსრ კავშირის კანონთა წიგნის მომზადებისა და გამოცემისათვის და მოქმედი კანონმდებლობის დახვეწისათვის. ამასთან დაკავშირებით ბრძანებულებებით ცვლილებები და დამატებანია შეტანილი ზოგიერთ აქტში სამოქალაქო მართლურთიერთობის, ქორწინებისა და ოჯახის, შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის, აგრეთვე ადგილობრივი გადასახადებისა და შესაკრებლების საკითხებზე.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრისა და 1983 წლის ივნისის პლენუმებზე, როგორც ცნობილია, ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა დამატებითი ღონისძიებების განხორციელება სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის.

საბჭოთა ადამიანები ერთსულოვნად უჭერენ მხარს პარტიის ამ ხაზს და გამოთქვამენ სურვილს უფრო მკაცრად მოვკითხოთ იმათ, ვინც არღვევს საბჭოთა კანონებს, კომუნისტური მორალის ნორმების მოთხოვნებს, ვინც ხელყოფს საერთო-სახალხო კუთვნილებას.

გაითვალისწინა რა მშრომელთა წინადადებანი, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გამოსცა ბრძანებულებანი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების წვრილი დატაცებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ კანონმდებლობის საფუძვლების შევსების თაობაზე. დამტკიცებულია აგრეთვე „დებულება იმ სისხლისსამართლებრივი დასჯის აღსრულების წესისა და პირობების შესახებ, რომლებიც დაკავშირებული არ არის მსჯავრდებულებზე შრომაგასწორებითი ზემოქმედების ღონისძიებებთან“.

საავტომობილო ტრანსპორტზე დისციპლინის განმტკიცებას, მოქალაქეთა უფლებების დაცვას უნდა შეუწყოს ხელი ბრძანებულებამ „საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ“. ასეთი აქტის მიღება გამოწვეულია იმის აუცილებლობით, რომ გავაძლიეროთ ბრძოლა ამ სახეობის გადაცდომების წინააღმდეგ, უზრუნველვყოთ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება.

1983 წლის 28 თებერვალს გამოიცა ბრძანებულება, რომელიც ადგენს თანამდებობის პირთა ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას საწარმოებსა და ორგანიზაციებში ფეთქებადი მასალების შენახვის, გამოყენებისა და აღრიცხვის წესების დარღვევისათვის.

ამ ბრძანებულებებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ღონისძიებანი შრომით კოლექტივებსა და მოსახლეობაში აღმზრდელობითსა და ორგანიზატორულ მუშაობასთან შეხამებით უთუოდ სასიკეთო ზეგავლენას მოახდენს სამართალდარღვევათა პროფილაქტიკაზე.

თქვენს დასამტკიცებლად, ამხანაგო დეპუტატებო, შემოგვაქვს აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში ცალკეულ პირთა დანიშვნისა და თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ.

1983 წლის 24 მარტის ბრძანებულებით სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ამხანაგი ანდრია ანდრიას ძე გრომიკო დაინიშნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ.

როგორც ცნობილია, განვლილ პერიოდში უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ზოგიერთი სხვა ცვლილებაც შეიტანა მთავრობის შემადგენლობაში. სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით ამხანაგი ვალენტინ ნიკოლოზის ძე მაკეევი განთავისუფლებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან, თანამდებობებზე დაინიშნა და განთავისუფლდა ზოგიერთი მინისტრი და სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

წარმოდგენილი ბრძანებულებების დამტკიცების შესახებ სსრ კავშირის კანონებისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებების პროექტები ხელთა გაქვთ, პატივცემულო დეპუტატებო.

უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი გთხოვთ განიხილოთ და დაამტკიცოთ ისინი. **(ტასი).**

---

18 ივნისი

უცხოეთში

ფაქტები მოვლენები

საქდესი იუწყება

ა. ჰარიმანი: ერთად ვიცხოვროთ უომრად

საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის გაუმჯობესებისათვის

ვაშინგტონი. თვალსაჩინო ამერიკელი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწენი ავერელ და პამელა ჰარიმანები გამოვიდნენ სენატის საგარეო საქმეთა კომისიაში, სადაც ამჟამად მიმდინარეობს მოსმენა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის საკითხებზე. მათ ღრმა კმაყოფილება გამოთქვეს მოსკოვში ი. ვ. ანდროპოვთან გამართული საუბრის გამო და აღნიშნეს, რომ საბჭოთა ხელმძღვანელის გამონათქვამებს ახასიათებდა „პირდაპირობა, სიმტკიცე და გულახდილობა“.

ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილმა ელჩმა სსრ კავშირში ა. ჰარიმანმა განაცხადა: ი. ვ. ანდროპოვმა მკაფიოდ და, ჩემი აზრით, გულწრფელად გამოთქვა საუბრის დროს შეშფოთება იმის გამო, რომ სულ უფრო ძლიერდება ბირთვული ომის საფრთხე, და დასძინა, რომ საბჭოთა ადამიანებსა და ამერიკელებს ჰყავთ საერთო მტერი — ეს არის ომის საფრთხე, ომისა, რომელიც თავისი დამანგრეველი შედეგებით ვერც კი შეედრება მეორე მსოფლიო ომს.

შემდეგ ა. ჰარიმანმა კომისიის წევრთა ყურადღება მიაპყრო საბჭოთა ხელმძღვანელის დაინტერესებას საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის ნორმალიზაციითა და განვითარებით ნაყოფიერ საფუძველზე, ერთობლივი ინიციატივებით, რომლებიც ხელს შეუწყობენ ახლანდელი დაძაბულობის სიმწვავის დაცხრობას. „ახლანდელი სიტუაციის მნიშვნელობა ის კი არ არის, რომ მან შეიძლება საფრთხეში ჩააგდოს ჩვენი ვაჭრობა ანდა ჩვენი ეკონომიკა, თქვა ა. ჰარიმანმა, — არამედ ის, რომ ბირთვულ ეპოქაში შემდგომი გაუარესება საბოლოო ანგარიშით საფრთხეში ჩააგდებს შეერთებული შტატების ეროვნულ უშიშროებას და თვით არსებობას.“

„სწორედ ამიტომ, — განაგრძო ა. ჰარიმანმა, — ესოდენ საჭიროა გავაუმჯობესოთ ურთიერთობა ჩვენს ყველაზე მძლავრ მოწინააღმდეგესთან. როცა ჩვენ შორის აშკარად არის ეჭვები, მტრობა და შიში, თავს ვერ ვიგრძნობთ მშვიდად, ვერ ვიქნებით მხოლოდ იმის იმედით, რომ სალი აზრი და გონება სამუდამოდ გაიმარჯვებს ორი ბირთვული იარაღით აღჭურვილი ზესახელმწიფოს ურთიერთობაში“.

სულ უფრო მზარდი ბირთვული საფრთხის პირობებში დახრილი სიბრტყით დაქანება, დასძინა მან, მიუღებელი ეროვნული პოლიტიკაა.

ცოლ-ქმარმა ჰარიმანებმა მტკიცედ დაუჭირეს მხარი საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის გაუმჯობესების გზების ძიებას ქვეყნად მშვიდობის შენარჩუნების მიზნით. „მიმაჩნია, — თქვა ავერელ ჰარიმანმა, — რომ იდეოლოგიის დარგში კომპრომისის შანსი ჩვენ არა გვაქვს. მაგრამ ამასთანავე უნდა ვეძებოთ გზები, თუ როგორ მოვაგვაროთ კონფლიქტები რაც შეიძლება მეტ სხვადასხვა სფეროში, რათა ერთად ვიცხოვროთ ამ ჩვენს პატარა პლანეტაზე, ვიცხოვროთ უომრად“.

პოლონეთის პრესის სააგენტოს ცნობა

ვარშავა. როგორც პოლონეთის პრესის სააგენტო იუწყება, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. იარუზელსკი ბელვედერის სასახლეში შეხვდა რომის კათოლიკური ეკლესიის მეთაურს იოანე პავლე მეორეს. გაიმართა საუბარი.

ფოტოინფორმაცია

„მშვიდობისა და სიცოცხლისათვის, ბირთვული ომის წინააღმდეგ“ მსოფლიო ასამბლეის ემბლემის ავტორია ახალგაზრდა პრაღელი მხატვარი მარია კრალოვა, რომელსაც სურათზე ხედავთ მსოფლიო ასამბლეის ემბლემასთან ერთად.

ასამბლეა გაიმართება 1983 წლის 21-26 ივნისს პრაღაში.

ჩტკ-საქდესის ფოტო.

პრესა ადასტურებს

ბინძური ხერხები

ნიუ-იორკი. ამერიკის პრესაში გაჩნდა ცნობები, რომლებიც დამატებით შუქს ფენენ საძრახის მეთოდებს, რომლებსაც ამერიკის შეერთებული შტატების ბურჟუაზიული პარტიები იყენებენ იმისათვის, რომ, რადაც უნდა დაუჯდეთ, გაიმარჯვონ პრეზიდენტის არჩევნებში.

ცნობებში ნათქვამია, რომ 1980 წლის არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე, ადმინისტრაციის მეთაურის პოსტზე ძირითადი პრეტენდენტების — დემოკრატ ჯ. კარტერსა და რესპუბლიკელ რ. რეიგანს შორის გამართული კამათის წინ, რომელიც მთელ ქვეყანაში გადმოიცა რადიო-ტელევიზიით და რომელსაც ორივე პარტიის ხელმძღვანელობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, თეთრი სახლიდან მოიპარეს დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტები. ამ დოკუმენტებში დასახული იყო მომავალი ტელეკამათის დროს მაშინდელი პრეზიდენტის ჯ. კარტერის ქცევის გეზი და მისი ძირითადი პოზიციები საკითხებში, რომლებსაც, როგორც მოსალოდნელი იყო, უნდა შეხებოდნენ.

თეთრი სახლის ახლანდელმა მეთაურმა მარჯვედ გამოიყენა ეს ინფორმაცია, რომელიც ხელთ იგდეს მისმა მრჩევლებმა. ამის შედეგად, საზოგადოებრივი აზრის იმ გამოკითხვის შედეგების თანახმად, რომელიც კამათის დამთავრებისთანავე მოაწყო ეი-ბი-სი ტელეკომპანიამ „ამერიკენ ტელეფონ ენდ ტელეგრაფის“ კორპორაციასთან ერთად, მას მისცა უპირატესობა ტელემაყურებელთა 67 პროცენტმა. როგორც ტელეკომპანიის კორესპონდენტმა აღნიშნა, „რეიგანმა კარგი შთაბეჭდილება მოახდინა იმ ამომრჩევლებზე, რომლებსაც ჯერაც არ განუსაზღვრიათ თავიანთი ფავორიტი. ბევრს შეიძლებოდა დაბადებოდა აზრი, რომ იგი არც თუ ისე საშიშია“.

კარტერის ზოგიერთმა თანაშემწემ შეიტყო რა ეს ბინძური ხერხები, განაცხადა, რომ ისინი ჩამოხსნიან რეიგანს „წესიერი“ და „პატიოსანი“ კაცის ნიღაბს.

● ჩინეთი-აშშ

საპროტესტო ნოტა

პეკინი. როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტაში, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების პეკინის საელჩოს გადაეცა, გამოთქმულია პროტესტი იმის გამო, რომ ამერიკის მთავრობამ ნება დართო „პან-ამერიკენ უორლდ ეირუეიზის“ კომპანიას გაეხსნა ამერიკის შეერთებული შტატები-ტაივანის ავიახაზი. იგი ამა წლის 14 ივნისს ამოქმედდა.

ნოტაში ნათქვამია, რომ ამერიკის მთავრობის ეს აქცია მოხდა მას შემდეგ, რაც უარყვეს ჩინეთის მხარის წინადადება გაემართათ კონსულტაციები ამ საკითხზე და სხვა არაფერია, თუ არა „ჩინეთის სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტისადმი აგდებული დამოკიდებულების აშკარა გამოვლინება, ვინაიდან ტაივანი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიის განუყოფელი ნაწილია“. ეს აქცია „ლახავს ჩინელი ხალხის ეროვნულ გრძნობებს“, აღნიშნავს ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო.

იუწყებიან, რომ იმავე დღეს ჩინეთის სამოქალაქო ავიაციის მთავარი სამმართველოს წარმომადგენელმა ოფიციალური წერილი გადასცა ამერიკის პეკინის საელჩოს, რომელიც შეიცავს ამერიკის მთავრობისადმი მოთხოვნას ამერიკის შეერთებული შტატები — ჩინეთის საჰაერო ტრასების მომსახურებისათვის დანიშნონ სხვა კომპანია „პან-ამერიკენ უორლდ ეირუეიზის“ ნაცვლად, რომლის თვითმფრინავებმაც დაიწყეს ფრენა ამერიკის შეერთებული შტატები-ტაივანის ხაზზე.

ეძღვნება მედიკოსთა დღესასწაულს

19 ივნისს საქართველოს მშრომელები, ისევე, როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, ფართოდ აღნიშნავენ მედიცინის მუშაკის დღეს. წელს იგი მიმდინარეობს დევიზით „მაღალი პასუხისმგებლობა, ორგანიზებულობა, შეგნებული კომუნისტური დისციპლინა და პროფესიული ოსტატობა — ჯანმრთელობის დაცვის ყველა დაწესებულებაში“.

ჩვენს რესპუბლიკას არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მთელ მსოფლიოშიც ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია სახალხო ჯანმრთელობის დაცვის ქსელის განვითარებაში, ექიმებით უზრუნველყოფაში. საქართველოში მოქმედებს 4 ათასამდე სამედიცინო დაწესებულება, ხალხის ჯანმრთელობისათვის ზრუნავს 22 ათასი ექიმი და 51 ათასზე მეტი საშუალო სამედიცინო პერსონალის წარმომადგენელი.

ეს ციფრები დასახელებული იყო საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილის თ. დ. ჭყონიას მოხსენებაში, რომელიც მან გააკეთა მედიცინის მუშაკთა პროფესიული დღესასწაულისადმი მიძღვნილ საზეიმო კრებაზე. კრება გაიმართა 17 ივნისს მარჯანიშვილის სახელობის თეატრში.

მომხსენებელი და გამოსულნი შეეხნენ ამოცანებს, რომლებიც საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვას დაუსახეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმმა და რომლებიც გამომდინარეობენ ამ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლიდან. აღნიშნეს რა დიდი წარმატებანი დაავადებათა თავიდან აცილებისა და ბრძოლის საქმეში, მათ ამავე დროს ხაზი გაუსვეს, რომ რესპუბლიკაში ჯანმრთელობის დაცვის ხარისხობრივი დონე ჯერ კიდევ არ შეესაბამება გავითარებული სოციალიზმის მოთხოვნებს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს დაავადებათა პროფილაქტიკას.

სხდომას დაესწრო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ე. ჩერქეზია. (საქინფორმი).

● ●

„საბჭოთა მედიცინა“ № 3.

გამოვიდა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ორთვიური სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალის „საბჭოთა მედიცინის“ მორიგი, მესამე (მაის-ივნისი) ნომერი.

ჟურნალის ახალი ნომერი იხსნება მოწინავე წერილით — დიდი მოქალაქეობრივი და პროფესიული პასუხისმგებლობა.

განყოფილებაში „სადღეისო პრობლემები“ დაბეჭდილია წერილები: მ. გორგაძისა — ახალგაზრდობა სამედიცინო მეცნიერებაში; გ. ვასაძისა — სამედიცინო კადრების მომზადება და მათდამი სისტემატური მიდგომა.

გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისადმი მიძღვნილი „ჩვენი თანამემამულე — სახელგანთქმული ფიზიოლოგი“.

რუბრიკით „კრიტიკული გვერდი“ გამოქვეყნებულია ა. ჯორბენაძის წერილი — ავამაღლოთ სამედიცინო კოლექტივების ავტორიტეტი და ბრძოლისუნარიანობა.

ჟურნალს აქვს განყოფილებები: „თეორიული და კლინიკური მედიცინა“; „პრაქტიკოსი ექიმის დასახმარებლად“; „შემთხვევები პრაქტიკიდან“; „სიახლე მედიცინაში“, „სოციალური ჰიგიენა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაცია“; „შრომისა და მართვის მეცნიერული ორგანიზაცია“; „მედიცინის ისტორია“; „ჩვენი კალენდარი“; „ჩვენი სახელოვანი თანამემამულენი“; „რეცენზიები“; „გვეკითხებიან — ვუპასუხებთ“; „ქრონიკა და ინფორმაცია“.

---

19 ივნისი მედიცინის მუშაკის დღეა

გადარჩენილი სიცოცხლე

წერილი მოსკოვიდან

საბჭოთა კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ტრანსპლანტოლოგიისა და ხელოვნური ორგანოების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტში ავადმყოფები ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან ჩადიან. ზოგიერთი მათგანი სანიტარიული ავიაციის სამსახურს ჩაჰყავს. მათ შორის არიან ადამიანები, რომლებსაც დარღვეული აქვთ გულის რიტმი. აქვე სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, ინსტიტუტის დირექტორის ვ. ი. შუმაკოვის ხელმძღვანელობით ხელოვნური გულის შექმნაზე მუშაობენ. გარდა ამისა, ხელოვნური სისხლის მიმოქცევის მეთოდის გამოყენებით ურთულეს ოპერაციებს აკეთებენ ღია გულზე, რომელთა შედეგად ავადმყოფები სოციალურად აქტიურ ცხოვრებას უბრუნდებიან.

სატელევიზიო ეკრანზე ძგერს გული. გვერდზე, ოსცილოგრაფის ეკრანზე მწვანე სხივი კარდიოგრამას ხაზავს. გულის ჯერ ზემო, შემდეგ ქვემო ნაწილში მუქი ხაზი გაჩნდა. ეს გახლავთ შეერთებული ვენის მეშვეობით გულში შემავალი ელექტროდი. ქირურგი ელექტროდის წვეროთი ეხება გარკვეულ წერტილებს და გულის შიდა ნაწილების ელექტროგრამას იღებს. ასე იწყება ძიება მიზეზებისა, რომლებიც იწვევენ ტაქიკარდიას, რაც ლათინურად „სწრაფ გულს“ ნიშნავს.

— გულის რიტმს გამოიმუშავებს სინუსური კვანძი — გულის ზემო ნაწილში მდებარე უჯრედების ავტონომიური ჯგუფი, — გვეუბნება ვ. ი. შუმაკოვი. — აქედან გულის იმ კუნთის სამუშაო უჯრედებისაკენ, რომელიც სისხლს ტუმბავს გულში, გამტარი გზები გადის. სწორედ მათ გადაეცემათ აგზნების იმპულსი. ამ ნერვების კონიდან საჭირო ძაფის გამოყოფა ძალზე რთული საქმეა. კიდევ უფრო ძნელია მისი დარღვევა. ზოგჯერ კი ამის გაკეთება სრულიად აუცილებელია, რადგან ზედმეტი, პათოლოგიური გამტარი გზები, რომლებიც მოულოდნელად იწვევს ფუნქციონირებას ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობი ფაქტორის ზემოქმედებით, გულის კუნთის დამატებით შეკუმშვას იწვევს და გულისცემას აჩქარებს.

ჩვენ საოპერაციოში ვართ, სადაც გულის „შეკეთება“ ხდება. ახლა აქ ყველაფერი — ეკრანები, შლანგები, მილაკები და ხელსაწყოები კვლევითს ლაბორატორიას მოგვაგონებს. აპარატურა ეხმარება ექიმებს კონტროლი გაუწიონ ავადმყოფის მდგომარეობას. ქირურგიული ჩარევის ადგილის ლოკალიზაცია ძირითად ოპერაციამდე რამდენიმე დღით ადრე ხდება. ოპერაციის დროს კი, სადაც ყველაფერი დახვეწილია, ცხოველებზე შემოწმებული, გაანგარიშებულია ყოველი მოძრაობა, ყველაფერი ძალზე იოლად და მარტივად გეჩვენებათ. მაგრამ ამ ჭეშმარიტად ვირტუოზულ მუშაობას წინ უძღოდა ხანგრძლივი ძიება და ფიქრი, ექსპერიმენტები და ახალი ხელსაწყო-ინსტრუმენტების შექმნა. ეს ხომ მხოლოდ ერთი მიმართულებაა, მხოლოდ ერთი ავადმყოფობის მკურნალობაა.

ინსტიტუტის კარდიოქირურგების მუშაობაში არის, მაგალითად, სხვა მიმართულებაც: გულის ბრადიარიტმიის მკურნალობა. ამ დროს, ტაქიკარდიისაგან განსხვავებით, გულის რიტმი სხვაგვარად ირღვევა, ავადმყოფებს მაჯისცემა უნელდებათ. ეს ავადმყოფობაც არანაკლებ საშიშია და შეიძლება ტრაგიკულად დამთავრდეს. ინსტიტუტში მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ვ. ი. შუმაკოვის ხელმძღვანელობით წარმატებით მუშაობენ ხელოვნური გულის შექმნაზეც და გულის სხვა პრობლემებზეც. აქ ერთსულოვანი ნიჭიერი კოლექტივი შეიქმნა. ვასილ შუმაკოვს ბევრი თანამებრძოლი, მიმდევარი და მოწაფე ჰყავს.

გულის რიტმის დარღვევის ქირურგიული მკურნალობის განყოფილების საორდინატოროში ვსაუბრობდით, როცა განყოფილების გამგე, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ე. ვ. კოლპაკოვა, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ა. შ. ხუბუტია და ასპირანტი ე. ო. ჭიჭინაძე სასწრაფოდ გამოიძახეს ახლად მოყვანილ ავადმყოფთან. მათ შეაგვიანდათ. თურმე თითქმის მთელი საათი უბრძოლიათ ადამიანის გადასარჩენად, რომელსაც გული გაუჩერდა. გულის მასაჟი იოლი საქმე არ არის: გულმკერდს დიდი ძალით რიტმულად უკუმშავენ ავადმყოფს, რათა გულს მუშაობა დააწყებინონ. ალბათ, ამიტომ იყო, რომ, საორდინატოროში დაბრუნებულებს შუბლზე ოფლი ჰქონდათ, თვალები უცინოდათ, კმაყოფილი იყვნენ გამარჯვებით. მათ დაამარცხეს კიდევ ერთი კლინიკური სიკვდილი: გული აამუშავეს.

— მერე, დიდი ხნით?

— ამ ავადმყოფს გულის რიტმის დარღვევა აქვს ძალიან იშვიათი ძგერით, — ამიხსნა ე. ვ. კოლპაკოვამ. — სამწუხაროდ, წამლები ვეღარ შველის. გულის „წახალისება“, უფრო თანაბრად აძგერება შეკუმშვათა საჭირო რიცხვის მიღწევა მხოლოდ კარდიოქირურგებს შეუძლიათ.

მაინც რა მოელის პაციენტს, რომელსაც ეს-ეს არის დაუბრუნეს სიცოცხლე? ალბათ, შეტევა შეიძლება განმეორდეს კიდეც. იმისათვის, რომ ეს არ მოხდეს, გულს სჭირდება დროებითი თანაშემწე. გარეგანი ელექტროკარდიოსტიმულატორი. მცირე საოპერაციოში მინის სარკმლით ვიხედებით და თვალს ვადევნებთ, როგორ შეჰყავთ ექიმებს ხუბუტიას და ჭიჭინაძეს ვენის მეშვეობით ავადმყოფის გულში ელექტროდები — პრაქტიკულად ეს უსისხლო ოპერაციაა. თუ ავადმყოფის მდგომარეობა გაუარესდა და გულმა ისევ შენელა ძგერა, ექიმი მიუერთებს სტაციონარულ ხელსაწყოებს, რომლებიც გულს საჭირო რიტმს მიანიჭებენ.

დიახ, იმათ შორის, ვისთვისაც მისაწვდომია ადამიანის გული, ვინც ინვალიდობისათვის განწირულ ადამიანებს შრომის უნარს უბრუნებს, გახლავთ პროფესორ ვ. ი. შუმაკოვის მოწაფეც, თბილისელი ასპირანტი ელგუჯა ჭიჭინაძე. მან თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავრა, რამდენიმე წელს მუშაობდა ექიმად ასპინძის რაიონულ საავადმყოფოში, ახლა კი მესამე წელია წარმატებით უხამებს ერთმანეთს ასპირანტურაში სწავლას და ინსტიტუტის კლინიკაში პრაქტიკულ მუშაობას. მისი დისერტაციის თემაა: „პაროქსიზმალური ტაქიკარდიით დაავადებულთა დამატებითი გამტარი გზების ქირურგიული ანატომია“.

ელგუჯას არა ერთი და ორი ოპერაცია გაუკეთებია დამოუკიდებლად. აკეთებს ელექტროკარდიოსტიმულატორების იმპლატაციის ოპერაციებსაც. მაგრამ მისი პირველი დამოუკიდებელი ოპერაცია მთელ განყოფილებას ახსოვს. ვერასოდეს ვერ დაივიწყებს მას თვითონ ექიმიც.

ეს თითქმის ორი წლის წინათ მოხდა, როცა ის-ის იყო გადავიდა ასპირანტურის მეორე კურსზე. საღამოს, როცა საორდინატორო დაცარიელდა, ელგუჯამ გადაწყვიტა ცოტა ხანს ემუშავა დისერტაციაზე ამ სიმყუდროვეში. მაგრამ იმ დღეს მეცნიერებისათვის ვერ მოიცალა. კლინიკის მისაღებში სანიტარიულმა ავიაციამ კრასნოდარიდან ჩამოიყვანა ძალზე მძიმე ავადმყოფი. ჩვეულებრივ, ასეთ შემთხვევაში განყოფილების წამყვან სპეციალისტებს გამოიძახებენ ხოლმე, მაგრამ ქალის მდგომარეობა სულ უფრო უარესდებოდა, დრო კი არ იცდიდა. როცა ელგუჯა ავადმყოფთან მივიდა, დაიწყო მორიგი შეტევა. ავადმყოფმა გონება დაკარგა, რაც გულს გაჩერებას უქადდა. მაჯისცემა წუთში 20-მდე დაეცა, წამლები საქმეს ვერ შველოდა... არც ერთი წუთის დაკარგვა არ შეიძლებოდა. ქალის სიცოცხლე საფრთხეში იყო. და ელგუჯამ გადაწყვიტა გაეკეთებინა სპეციალისტი კარდიოქირურგისათვის არცთუ რთული, მაგრამ ახალგაზრდა ასპირანტისათვის ძნელი და პასუხსაგები ოპერაცია. გარეგანი კარდიოსტიმულატორის მეშვეობით მოხერხდა შეტევის ლიკვიდაცია. და როცა სხვა ექიმებმაც მოიყარეს თავი, ქალი უკვე გაცილებით უკეთ გრძნობდა თავს. შემდეგ მას სხვა, უკვე უფრო რთული ოპერაცია გაუკეთეს: ელექტროკარდიოსტიმულატორი ჩაუნერგეს. ახლა ყოფილი ავადმყოფი უკვე მუშაობს, ასპირანტი ჭიჭინაძე კი გულდაჯერებით აკეთებს ბევრად უფრო რთულ ოპერაციებსაც, მაგრამ ეს შემთხვევა სამუდამოდ დაახსომდა.

ე. ისაკოვა.

„კომუნისტის“ ფოტოკონკურსი.

სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, ლენინური პრემიის ლაურეატი ს. ხეჩინაშვილი.

ა. სააკოვის ფოტო.

ნორჩთა ჯანმრთელობის კერა

ბრონქოპნევმონიის მძიმე ფორმით მოიყვანეს ეკა ჭოხონელიძე ბავშვთა რესპუბლიკური საავადმყოფოს რეანიმაციის განყოფილებაში. კლინიკური სიკვდილი დამდგარიყო. ორი საათი ჰყავდათ ექიმებს გოგონა მართულ სუნთქვაზე. პარალელურად უტარდებოდა სათანადო მკურნალობა.

მკურნალთა თავდადებულმა შრომამ ნაყოფი გამოიღო, ბავშვმა მოიხედა. ახლა იგი თავს კარგად გრძნობს და საავადმყოფოდან მალე გაეწერება. არდადეგები ხელს შეუწყობს დაისვენოს და გაჯანსაღებული დაუბრუნდეს სკოლას.

— ეკა ჭოხონელიძე გამონაკლისი არ არის. რეანიმაციის განყოფილებაში მოხვედრილ უმძიმეს ავადმყოფთა უმეტესობა მდგომარეობიდან გამოგვყავს, გამოჯანმრთელებულებს ვაბარებთ მშობლებს, — ამბობს საავადმყოფოს მთავარი ექიმი მ. იაშვილი და დაწვრილებით გვაცნობს საავადმყოფოს საქმიანობას.

სტაციონარი 440-საწოლიანი, მრავალპროფილიანი სამკურნალო დაწესებულებაა, რომელსაც აქვს 12 განყოფილება და საკონსულტაციო პოლიკლინიკა. განყოფილებათაგან ზოგიერთი უნიკალურია და ბადალი არ მოეძებნება არათუ რესპუბლიკაში, არამედ ამიერკავკასიაშიც კი.

ავიღოთ თუნდაც ბავშვთა რეანიმაციის რესპუბლიკური ცენტრი, რომელზეც ზემოთ გესაუბრებოდით. იგი ერთადერთია საქართველოში და საუკეთესოდაც არის აღჭურვილი. თანამედროვე საბჭოური თუ იმპორტული საკვლევი და სამკურნალო დანადგარები, ვთქვათ, როგორიც ბაროკამერაა, ექიმებს საშუალებას აძლევს მკურნალობა ყველა მეთოდის გამოყენებით და მაღალ დონეზე ჩაატარონ, იხსნან მძიმე ავადმყოფები, რომლებიც აქ რესპუბლიკის ყველა კუთხიდან მოჰყავთ.

ცენტრთან მუშაობს რეანიმაციის სასწრაფო დახმარების ბრიგადა. იგი მოწოდებულია თბილისისა და მისი ახლომახლო სოფლების მცხოვრებთ აღმოუჩინოს დახმარება, ხოლო თუ საჭირო გახდა, დაუყოვნებლივ გადაიყვანოს ავადმყოფები სტაციონარში სამკურნალოდ.

აღსანიშნავია აგრეთვე ნეფროლოგიის და თირკმლის უკმარისობის ცენტრი. იგი თავისი აღჭურვილობით და კვლევის მეთოდებით უნიკალურია არა მარტო რესპუბლიკაში, არამედ კავშირის მასშტაბითაც. საყურადღებოა ბავშვთა ნეიროქირურგიული განყოფილებაც.

საავადმყოფო იმითაც გამოირჩევა, რომ მკურნალთა უმეტესი ნაწილი ახალგაზრდა და მაღალი კვალიფიკაციისაა. განყოფილებათა გამგეების უმრავლესობას სამეცნიერო ხარისხი აქვს. ასეთი მედპერსონალი, ცხადია, თავის კვალს ტოვებს და მკურნალობის მაღალ დონეს განაპირობებს.

საავადმყოფოს ბაზაზე მუშაობენ ექიმთა დახელოვნების პედიატრიის კათედრა (გამგე — პროფესორი გ. ნიჟარაძე), ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის გულმკერდის ქირურგიის განყოფილება (პროფესორი ვ. ფიფია და დოცენტი ვ. ბალაბუევი), სამედიცინო ინსტიტუტის ნევროლოგიის კათედრა (პროფესორი ნ. ქავთარაძე, დოცენტი ბ. მინდაძე), ნეფროლოგიის ბავშვთა განყოფილება (პროფესორი დ. მურვანიძე) და სხვები.

ამავე სტაციონართან მუშაობს მეორე სამედიცინო სასწავლებელი, რომლის პედაგოგთა ძირითადი ნაწილი დაკომპლექტებულია საავადმყოფოს წამყვანი სპეციალისტებით. საავადმყოფო სასწავლებლიდან პირველ რიგში თავისთვის შეარჩევს სხვადასხვა პროფილის ხუთოსან კურსდამთავრებულებს. იტოვებს მაღალკვალიფიციურ მედდებს. ასეთი შერჩევა საშუალებას იძლევა საუკეთესო კადრებით დაკომპლექტდეს დაწესებულება.

საავადმყოფო რესპუბლიკურია და, ცხადია, იგი კურირებს სხვადასხვა ქალაქებისა და რაიონების ბავშვთა სამედიცინო დაწესებულებებს და პრაქტიკულ თუ ორგანიზაციულ-მეთოდიკურ დახმარებას უწევს მათ.

ამ სტაციონარში სიახლეა სამუშაო რეჟიმის მხრივაც. მაგალითად, საავადმყოფოს პოლიკლინიკა ამჯერად ორ ცვლად მუშაობს. თუ წინათ იგი 16 საათამდე იღებდა პაციენტებს, ამჯერად, 22 საათამდე იწვევს მათ. ასეთი რეჟიმი ხელმისაწვდომია იმ მშობლებისთვის, რომლებიც მუშაობენ. სამუშაო საათების შემდეგ მათ შეუძლიათ კონტროლი გაუწიონ შვილის ჯანმრთელობას და მიიღონ მაღალკვალიფიციური, ყველა პროფილის სამედიცინო დახმარება.

ავადმყოფთა მომსახურების გაუმჯობესებას ითვალისწინებს საავადმყოფოში ექვსდღიანი სამუშაო კვირის შემოღებაც. უკვე ოთხი თვეა საავადმყოფო ამ გრაფიკით მუშაობს. შაბათს ავადმყოფები მარტო მორიგე ექიმის იმედად კი აღარ რჩებიან, არამედ მათ სრულ მკურნალობას უტარებენ პროფესორები და წამყვანი სპეციალისტები.

დიდი წარმატებების მიუხედავად, სტაციონარს აქვს თავისი პრობლემები. უწინარესად ის, რომ იგი მცირე სიმძლავრისაა და გადიდებას საჭიროებს. არის პერსპექტივა, რომ 1984 წლისათვის დაიწყოს სტაციონარისთვის 200 საწოლიანი კორპუსის მშენება, მაგრამ არც ეს არის საკმარისი, რადგან ამჯერად საავადმყოფო ყველას ვერ აუდის და მოსულთა მესამედს, უმძიმესი ავადმყოფების გარდა, თბილისის ბავშვთა სხვადასხვა საავადმყოფოში ანაწილებს. და მაინც პალატები ხშირად გადატვირთულია. არის სხვა ნაკლოვანებანიც, რომელთა გამოსწორებაზე ზრუნავენ საავადმყოფოს ხელმძღვანელობა და მთელი კოლექტივი.

ბავშვთა რესპუბლიკური საავადმყოფო, რომელიც თბილისში, დიღმის მასივშია განლაგებული, ერთ-ერთი მოწინავე სამედიცინო დაწესებულება, ნორჩთა ჯანმრთელობის დაცვის ნამდვილი კერაა.

ნ. ნუცუბიძე.

კომუნისტი
საკვირაო საკითხავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასტროლები

მაყურებელთან შეხვედრის სიხარულით

საქართველოს სსრ ქალაქებისა და რაიონების სახელმწიფო დრამატული თეატრების პირველი რესპუბლიკური ფესტივალის დასკვნითი სპექტაკლი იყო სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის ერთ-ერთი ბოლოდროინდელი ნამუშევარი — გურამ ბათიაშვილის „უკეთუ გაცთუნებდეს..." ამავე სპექტაკლით თეატრმა თბილისში დაიწყო თავისი მცირე გასტროლები, რომლის მეორე წარმოდგენად თეატრმა უჩვენა ნოდარ დუმბაძის „მარადისობის კანონი", სპექტაკლი, რომლითაც საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ამ თეატრის ახალი შენობა. „მარადისობის კანონის" გიზო ჟორდანიასეულ სოხუმის ვარიანტზე ბევრი დაიწერა და ითქვა, მაგრამ ჩვენ მაინც ვისარგებლებთ შემთხვევით და ორიოდე სიტყვით ვიტყვით, რომ ამ საგულისხმო ნამუშევრისთვის დროს ვერაფერი დაუკლია, მსახიობები მოქმედებენ სისავსით, სიმართლითა და გატაცებით, რაც იმის საწინდარია, რომ სპექტაკლი კვლავაც შემორჩება თეატრის რეპერტუარს.

ალექსანდრე ჩხაიძის დრამატურგია ხშირად გამხდარა საფუძველი გ. ქავთარაძის მიერ შექმნილი მრავალმხრივ საინტერესო, მძაფრი და პოლემიკური სპექტაკლისათვის. ამჯერადაც, დრამატურგის ახალი პიესის „მილების დღის" პირველ განმხორციელებლად კვლავ გოგი ქავთარაძე მოგვევლინა. სოხუმელთა ამ ახალ სპექტაკლში — „მილების დღე" ერთ-ერთი ქალაქის აღმასკომის თავმჯდომარის სამუშაო დღის ჩვეულებრივ პროცესს ვესწრებით, ჩვენს თვალწინ გაიელვებენ სხვადასხვა ხასიათის, ასაკის, პროფესიის ადამიანები, რომელნიც თავიანთ სათქმელს ზოგჯერ ფარულად, ზოგჯერ გულახდილად გაგვანდობენ. მაყურებელი, დრამატურგის ასეთი ხერხის წყალობით, ორგანული თანამონაწილე ხდება სპექტაკლისა.

რეჟისორს მოქმედების არე გადააქვს რადიოს ჩამწერ სტუდიაში, სადაც გაითამაშებენ პიესაში მიმდინარე ამბავს. ასეთი გადაწყვეტა ერთგვარად ანაწევრებს სათქმელს, წარმოქმნის ხელოვნურ პაუზებს, რაც ანელებს სპექტაკლის დინამიკურობას. ამავე დროს, ამგვარ რეჟისორულ ხერხს თავისი სიკეთეც გააჩნია, — შეიძლება მან ხელი შეგვიშალოს გმირთა ხასიათების გამოკვეთის პროცესში, მაგრამ რაც შეეხება პიესის მძაფრ პუბლიცისტურ პათოსს, ამ შემთხვევაში სწორედ მისი აქცენტირების საუკეთესო საშუალებად გვევლინება. რეჟისორიც ამგვარი გადაწყვეტით მიზნად ისახავს ამ სიმწვავის ხაზგასმასა და წინ წამოწევას, ეს კი საშუალებას გვაძლევს თანამედროვე გმირის ერთი დღის ცხოვრების სისხლსავსე სურათი მთელი თავისი სიღრმით აღვიქვათ.

სპექტაკლში შექმნილია მთელი რიგი კოლორიტული სახეები, სადაც აქტიორული ოსტატობის მაღალ დონესთან ერთად, თვალნათლივ გამოვლინდა მსახიობთა აქტიური დამოკიდებულება თემისადმი, რომელსაც არ დააკლეს მოქალაქეობრივი პათოსი და შინაგანი რწმენა.

ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს აღმასკომის თავმჯდომარის როლში ნ. ბექაური. მისი გმირი გამოირჩევა პიროვნული მომხიბვლელობითა და ხასიათის სიმტკიცით.

მკვეთრად კომედიური სახეები შექმნეს საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა მიხეილ ჩუბინიძემ და საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა თინა ბოლქვაძემ. მათი შესრულება გამოირჩევა იმპროვიზაციული სახიერებით, სიმსუბუქით, რომელსაც ახლავს გროტესკული სითამამე; საშემსრულებლო ხერხთა ამ მრავალფეროვნებას გემოვნებაც არ აკლია.

მოზღვავებული ტემპერამენტით, ენერგიით წარმართავს თავის როლს საქართველოს სსრ სახალხო არტისტი თინა ბაბლიძე. მისი გმირის ცხოვრების აზრი საქმისადმი გამორჩეული ერთგულება და ერთგვარი თავგანწირვაცაა. ამ მომენტს მსახიობი მთელი დამაჯერებლობით წარმოაჩენს.

პიესის ერთ-ერთი უცილობელი ღირსებაა, რომ იგი ჩვენი ცხოვრების მრავალფეროვან სურათს გვიხატავს, სადაც ის მანკიერი მომენტებიც აღინიშნება, რომლის წინააღმდეგ ფართო ბრძოლაა გამოცხადებული.

შენიღბული და, ამავე დროს, ცინიზმით აღჭურვილი ადამიანის სახეს მთელი სიცხადით წარმოგვიდგენს მსახიობი ჯ. ჯანდიერი დათუაშვილის როლში. იგი ღრმადაა დარწმუნებული თავის შესაძლებლობებში, სჯერა, რომ ყოველგვარი სიტუაციიდან თავის დაღწევის შანსი გააჩნია, მაგრამ როდესაც მძაფრ წინააღმდეგობას წააწყდება, ამ დროს იგი საშიში და დაუნდობელი ხდება.

ეპიზოდურ როლებში გამოირჩევიან საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ფ. შედანია (დეიდა მაშო) და აფხაზეთის ასსრ დამსახურებული არტისტი ვ. არღვლიანი (ორკბილა).

სპექტაკლი შექმნილია იმ რწმენის სიმტკიცეზე, რაც ადამიანებს ცხოვრებას უადვილებს, მათ საქმიანობას მომავლის იმედს შთაუნერგავს და, საერთოდ, გამოკვეთს აზრს, რომ ჯანსაღი ადამიანური ურთიერთობანი, მოქალაქეობრივი მოვალეობის წმიდათაწმიდა გრძნობა და შეუბღალავი სინდისი წარმართავს ჩვენი ყოფის არსს.

დღეს მნიშვნელოვანი ფაქტია ის, რომ დაიდგა „დიდოსტატის მარჯვენა" კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის თეატრში. თეატრმა მთელი სერიოზულობით შეიგრძნო ის მოვალეობა, რომელიც მას დაეკისრა დიდი მწერლის ლიტერატურული მემკვიდრეობისადმი. მის რეპერტუარში მუდმივად უნდა იყოს კ. გამსახურდიას ნაწარმოებთა მიხედვით შექმნილი სპექტაკლები, რომელთაც ექნებათ გამორჩეული ჟღერადობა.

სოხუმის თეატრის სპექტაკლი — „დიდოსტატის მარჯვენა" სრულად მოიცავს რომანის მთლიან განწყობილებას. ძნელად შეელევა შემოქმედი კ. გამსახურდიას სიტყვის ელვარებას, პოეტური პროზის თამამი ფრაზა კი ძნელად ემორჩილება დიალოგის დინებაში შემოსვლას და, აქედანვე უნდა ვთქვათ, რომ რეჟისორმა გ. ქავთარაძემ შესანიშნავად მოახერხა ლიტერატურული ღირსებებისა და თავისი ჩანაფიქრის ურთიერთშეკავშირება.

ჯ. ფაჩუაშვილის სცენოგრაფია იძლევა სპექტაკლის დინამიური განვითარებისათვის საჭირო ყველა საშუალებას.

სპექტაკლის მონოლითურობა განსაზღვრა მწყობრმა აქტიორულმა ანსამბლმა, რომელმაც გაგვაოცა გარეგნული შთამბეჭდაობით, ვაჟკაცური ელფერით, მოზღვავებული ემოციითა და ერთიანი შედუღაბებული მიზანსწრაფვით.

მეფე გიორგი, კ. გამსახურდიას ნაწარმოებში ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი გმირი, დ. ჯაიანის შესრულებით სპექტაკლის სიმწიფის ამ ეტაპზე, უკვე რელიეფურად ატარებს ყველა იმ ნიშანს, რაც მეფის სახეს ახასიათებს: ტემპერამენტი, ემოციური აღზევება, პიროვნული მომხიბვლელობა და ხასიათის სიმტკიცე, დახვეწილი მანერები, კოსტიუმის კარგად ტარების უნარი და გამომსახველი პლასტიკა.

შემოქმედებითი წვა, ტაქტი და გემოვნება, შინაგანი პოეტური გაცისკროვნება ახლავს ვ. არღვლიანის შესრულებას არსაკიძის როლში. მისი გმირი რომანის ლირიული ნაკადის წარმომჩენია. პოლიტიკურ ვნებათა ღელვის ქაოსში ვ. არღვლიანის არსაკიძე მაინც ახერხებს შეინარჩუნოს სულის სიფაქიზე და დაუოკებელი სწრაფვა თავისი მოწოდების განსახორციელებლად.

ზვიად სპასალარის მონოლითური ფიგურა და ქინიანი წინააღმდეგობა ერთიანი საქართველოს მტრების წინააღმდეგ მთელი არსით მოიტანა მსახიობმა ს. პაპკორიამ.

ფარსმან სპარსის გაორებული პიროვნება, მისი შემპარავი, თილისმური სახე ოსტატურად გამოკვეთა გ. რატიანმა. მწერლისეული აზრი, ქარაგმული თქმები და მიუსაფარი კაცის შინაგანი ლვარძლი და ტკივილი მსახიობს გარდასახვის კონდინციამდე მიჰყავს.

დახვეწილი მეტყველება, საეკლესიო ორტოდოქსისათვის შესაფერისი სიდინჯე და შეუვალობა გამოამჟღავნა მელქისედეკ კათალიკოსის როლში ჯ. ჯანდიერმა.

სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის გასტროლები თბილისის თეატრალური ცხოვრების მნიშვნელოვან კულტურულ მოვლენად იქცა და მომავალი შეხვედრების დიდი სურვილით აგვავსო.

ვაჟა ძიგუა.

●●

სურათზე: სპექტაკლ „დიდოსტატის მარჯვენის" სცენა. მეფე გიორგი — დ. ჯაიანი, ზვიად სპასალარი — საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ სახალხო არტისტი ს. პაპკორია.

ვ. ბენბიურის ფოტო.

ალექსანდრე ბეგაშვილი 60 წლისაა

პოეტის სულიერი საგანძური

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურების, ხანგრძლივი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის და დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით მწერალი ალექსანდრე ივანეს ძე ბეგაშვილი დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

ცნობილ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს ალექსანდრე ბეგაშვილს დაბადების 60 წელი შეუსრულდა. ბევრს კარგად გვახსოვს მისი ლექსების პირველი კრებული „ჩემი სიყვარული". მაშინ ახალგაზრდობა გატაცებით კითხულობდა მის სატრფიალო ლირიკას.

მას შემდეგ დიდი ხანი გავიდა. დღეს ალექსანდრე ბეგაშვილი უკვე სამოცი წლისაა, დაბრძენებული მწერალია, მადლიანი ქართული სიტყვის ოსტატი, დედაენის ღრმა მცოდნე, გულმხურვალე მოტრფიალე და მისი სიმდიდრისა და სილამაზის გულშემატკივარი დამცველია...

პოეტი ქართული კლასიკური და საბჭოთა პოეზიის რეალისტური ტრადიციების ერთგულია და მისი ნათელი და მუსიკალური ლექსები აზრითა და გრძნობით არის აღსავსე.

შთამბეჭდავია მგოსნის აღსარება, რომელსაც მისი ერთ-ერთი კრებულის „სახსოვრის" წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: „ვეთაყვანები ქართველი ერის სულიერ მამებს — ილიასა და აკაკის, ცხოვრების მიზნად მათი იდეებისა და იდეალების ერთგულება და სამსახური დამისახავს და ბედნიერი ვიქნები, თუ ჩემი ლექსები ამ ღმერთკაცთა დანთებულ მარადიულ ცეცხლს წვრილ ნაფოტებად მაინც გამოადგება".

და მართლაც, პოეტი გულწრფელად უმღერის ჩვენს დიად სამშობლოს, ეტრფის და ადიდებს ხალხთა ძმობა-მეგობრობას, ჩვენი ერის გმირულ წარსულს, დღევანდელობას...

მე მდიდარი ვარ სწორედ იმით,
რომ ვარ ღარიბი,
მერქვას მგოსანი, თუნდაც მცირე,
თუნდაც ყარიბი;
ლალი კი არა, ან ზურმუხტი
თვალსხივოსანი,
ლუკმა, სულ ერთი ლუკმა
მქონდეს,
მერქვას მგოსანი.

წერს პოეტი და ამას გულით წერს! სწორედ პატიოსნება, ზნეობრივი სიწმინდეა მისი სულიერი საგანძური და თვითონაც ეს მიაჩნია ადამიანის ყველაზე დიდ სიმდიდრედ და სამკაულად.

ლექსების ციკლში, რომელიც გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს ეძღვნება და ამას წინათ გამოაქვეყნა პრესაში, მარტო პოეტური პროფესიონალიზმი, ლექსის კულტურის მაღალი დონე კი არა ჩანს, არამედ რუსი ხალხისადმი გულწრფელ სიყვარულს ვხედავთ.

ილიასადმი, აკაკისადმი მიძღვნილი მშვენიერი ლექსების ციკლში თუ სხვა მრავალ ლექსში მკაფიოდ გამოსჭვივის პოეტის ნიჭიერება და გულწრფელობა.

ალ. ბეგაშვილმა საუცხოო ქართულით აგვიმეტყველა უკრაინელი მწერლის ოლეს გონჩარის რომანი „სიყვარულის სანაპირო", თარგმნა და გამოაქვეყნა ი. კუპალას, ნ. ტიხონოვის, ს. რუსთამის, ს. ბარუზდინის და მოძმე რესპუბლიკების სხვა პოეტთა ლექსები, გამორჩეული სომეხი პოეტის სარმენის პოემა „ჰაოსი და ქართლოსი"...

პოეტმა თავის ლირიკულ პროზაში ერთხელ კიდევ თვალნათლივ გვიჩვენა, თუ რა სიტყვაღონიერია მწერალი, როცა საზრდოს ხალხური ენიდან იღებს, ხალხისაგან სწავლობს. სისადავისა და ხალხურობის დასტურია მისი მშვენიერი მოთხრობები „თეთრი ვარდი" (ვანო სარაჯიშვილზე), „წვიმა" (ეძღვნება დედას), რომლისთვისაც ავტორს პრემიაც მიენიჭა, მრავალი მხატვრული ნარკვევი, რომლებიც ქართულ პრესაშია გაფანტული...

საყოველთაოდ არის ცნობილი ალ. ბეგაშვილის მოღვაწეობის მეორე სფერო — ქართული სიტყვის კულტურისათვის, დედაენის სიწმინდისათვის ბრძოლა. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ პოეტი ფხიზელ გუშაგად უდგას ქართულ ენას. მის ბუნებრივ ალღოს, მახვილ ყურს არ გამოეპარება უცხო ენობრივ სამოსელში გახვეული, დედაენის ბუნების შემბღალავი ლექსიკური თუ კონსტრუქციული ფორმები. ალ. ბეგაშვილი იცავს ენის ხალხურ საფუძველს, იბრძვის დედაენის ბუნების სიწმინდისათვის. ეს ხომ დიდი ეროვნული საქმეა და ამ მხრივ მისი პრაქტიკული მოღვაწეობა უთუოდ დიდი მადლობის ღირსია.

ალ. ბეგაშვილი წლების განმავლობაში ხვეწდა და ალამაზებდა „კომუნისტის", „ლიტერატურული საქართველოს", „მნათობის", „სახალხო განათლების", სხვა ქართული ჟურნალ-გაზეთების ენასა და სტილს. ამ დიდ და საპატიო საქმეს ამჟამად სიყვარულითა და ერთგულებით განაგრძობს საქართველოს ტელევიზიაში, ამასთან, ჟურნალ „პარტიულ სიტყვაში" ენის სიწმინდის კუთხეს ხელმძღვანელობს.

ალ. ბეგაშვილი, პირად ცხოვრებაში, ადამიანებთან ურთიერთობაში მოკრძალებული, პირდაპირობითა და ულალატობით ცნობილი, მომხიბლავი პიროვნება, შრომა-გარჯაში ჭაღარაშერეული პოეტი, კვლავ დაუღალავად დგას ქართული მწერლობის სამსახურში და ქართული ენის სიწმინდის სადარაჯოზე. მას უანგარო და ნაყოფიერი შემოქმედებითი შრომით ღირსეული წვლილი შეაქვს ერის კულტურის განვითარებაში.

ა. ღლონტი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

მამულის ტრფობით

ღიმილიან და ცრემლიან წიგნებს,
წიგნებს, რომლებიც სულში გზას იგნებს,
რომ სადმე ჩრდილებს მზედ დაენათოს, —
ქართველი კაცის საყვარელ წიგნებს
ეს ჩემი წიგნიც ზედ დაემატოს!

უხმობდეს გული მღელვარე ჰანგებს,
უსწორდეს ჩანგი ელვარე ჩანგებს,
ლექსი ხალხისკენ მხნედ გაემართოს...
მამულის ტრფობით მომართულ ჩანგებს
ეს ჩემი ჩანგიც ზედ დაემატოს!

ქართველის ძმობას ვაშა და ქება,
ის მუდამ ფიცის ერთგული კვდება,
რომ ძმობის გზასაც მზედ დაენათოს...
ფიცს ხალხთა ძმობის —
ამ წმინდა გრძნობის, —
ეს ჩემი ფიციც ზედ დაემატოს!
მეც საქართველოს — სიცოცხლის სადარს, —
ლექსს ვუნთებ სანთლად, ვით წმინდა ტაძარს,
არ მსურს მამულის ვალი მემართოს...
სამშობლოს ტრფობის ვარვარა ლადარს
ლექსი ნაპერწკლად ზედ დაემატოს!
იქ, სადაც ჩანგი ქვეყნისთვის ჟღერდეს,
სადაც მგოსანი ლექსს სისხლით წერდეს,
ჩემი ნაბიჯიც მძლედ გაემართოს...
გულებს, რომლებიც ხალხისთვის ძგერდეს,
ეს ჩემი გულიც ზედ დაემატოს!

ალექსანდრე ბეგაშვილი.

თხუპნიები

ფელეტონი

ზურაბ კაკუშაძე ორმოცდაათის გადაცილებული კაცია. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ოცდახუთ წელზე მეტი ამავე ინსტიტუტის მანქანათმშენებლობის კათედრაზე იმუშავა. ჯერ ლაბორანტი იყო, მერე ასისტენტი, შემდეგ უფროსი მასწავლებელი გახდა, ბოლო ხუთი წელი კი დოცენტის თანამდებობა ეკავა, სტუდენტთა მრავალმა თაობამ გაიარა მის ხელში. 1960 წლიდან სკკპ წევრია.

და როგორ არ გაგიკვირდებათ, როცა ასეთ კაცზე გეტყვიან, ხულიგნობა ჩაიდინაო. არადა, ეს მართლაც აშკარა ხულიგნობა იყო: მან ყველას თვალწინ ინსტიტუტში ჩხუბი და დებოში ატეხა, უშვერი სიტყვებით იგინებოდა და საცემრად მიიწევდა ამხანაგებისაკენ. დამტვრია ტელეფონი და საწერი მაგიდა, ჩაშალა თათბირი. საქმე იქამდე მივიდა, რომ მისი ალვირახსნილი მოქმედების აღსაკვეთად მილიცია გამოიძახეს.

რა ღმერთი გაუწყრა, რამ შეშალა, რამ გადარია, — უკვირდა ბევრს, ვინც ზურაბ კაკუშაძეს, ასე თუ ისე, იცნობდა.

იმათ კი, ვინც ცოტა უფრო ღრმად იყვნენ ჩახედული საქმეში, არაფერი გაჰკვირვებიათ, იცოდნენ, რომ მისგან უკეთესი არც იყო მოსალოდნელი.

სულიერი სიმშვიდე და წონასწორობა მან ახლა კი არა, იმ წუთიდან დაკარგა, როცა თავის კოლეგასა და ამხანაგზე ცუდი გაივლო გულში და ეს ავი ფიქრი მეუღლეს, ბელა კაკუშაძეს გაუზიარა.

თუ სადმე სამართალია, ავი კი არა, კარგი და კეთილი უნდა სურვებოდათ ერთმანეთისათვის ზ. კაკუშაძეს და ბ. ბოქოლიშვილს. ახალგაზრდობიდანვე თანმეზრადილებივით იყვნენ, თითქმის ორი ათეული წელი ერთად მუშაობდნენ ინსტიტუტში, ბოლო ათი წელი კი სულაც ერთმანეთის გვერდით გაატარეს, მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე იყო ერთიც და მეორეც. ერთ საქმეს ემსახურებოდნენ, ერთად ისხდნენ, დღეცისმარე ერთმანეთს შეჰყურებდნენ თვალებში.

ასეთ ადამიანებს ერთმანეთში სამტრო და საცუდკაცო, აბა, რა უნდა ჰქონოდათ?! არც რა. მაგრამ ეშმაკი და ავი სული რომ შეუჩნდება კაცს, რას არ აფიქრებინებს, რა სიგლახეს არ ჩაადენინებს.

ზ. კაკუშაძეს ბოლო დროს ეჩვენებოდა, რომ ეს თავისი ამხანაგი და მეგობარი ბორის ბოქოლიშვილი რამდენადმე ჩაგრავდა მას — თავად საკუთარ საქმეებზე დარბის, დეკანატში კი მთელი სამუშაო ჩემს კისერზე გადადისო.

ეს ფიქრი ერთხელ როგორღაც მეუღლეს გაუზიარა, ისე, სხვათა შორის თქვა, უფრო თავი მოიკატუნა ცოლთან, ვითომ, რაოდა, ხომ ხედავ რამდენს ვმუშაობო. ქალმა კი ერთი ამბავი ატეხა, გაცხარდა, გაწიწმატდა და მაგარ-მაგარი საყვედურები ჰკადრა ქმარს: შენაო ასეთი ხარო, ყველას თავი უნდა დააბრიყვებინოო, ყველას ყველაფერი უნდა დაუთმო და შეარჩინოო და სხვა მისთანაები. მერე მუქარაზე გადავიდა, ბორის ბოქოლიშვილის მისამართით იმუქრებოდა: მე მაგას ვუჩვენებ სეირს, არ გავახარებ... ავდგები და ანონიმურ წერილებს დავუწერო.

— რას ამბობ, ქალო? — კაცის ამ ფრაზაში ინტერესი და ცნობისმოყვარეობა უფრო გამოსჭვიოდა, ვიდრე აღშფოთება. ქალმა უმალვე იგრძნო ეს.

— შენ მომიყევი, თუ რამე იცი მაგის სიგლახისა, დანარჩენი ჩემზე იყოს...

ერთმანეთს ჩახედეს თვალებში და გაჩუმდნენ. ეს უკვე შეთანხმებას ნიშნავდა. კაცს ჭკუაში დაუჯდა ცოლის წინადადება, მას ამ საქმეში მეტადრე თავისი მდგომარეობა, პოზიცია მოსწონდა. ეს მოსახერხებელიც იყო და თავშესაქცევიც: დაჯდება აგერ არხეინად, საიმედოდ ჩასაფრებული, შემოიწყობს გარშემო ტალახის გუნდებს და რიგრიგობით მიაწვდის ცოლს, ისიც აიღებს და თავის სამალავიდან დაუშენს ბოქოლიშვილს. „ტყაპ" — თავში, „ტყაპ" — სახეში. საინტერესო სურათია, არა? მე შენ გეტყვი, გაგვიგებს ვინმე!

მართლაც, ვინ იფიქრებდა, რომ ეს ლვარძლიანი ანონიმური წერილები, რომლებშიც ასე უმოწყალოდ განაქიქებდნენ ბორის ბოქოლიშვილს, თავისივე მეგობრის ზურაბ კაკუშაძის ოჯახში ითხზვებოდა.

ოთხი წლის განმავლობაში ამ ცილისმწამებლური წერილებით აწრიალებული და შეწუხებული იყო მთელი ინსტიტუტი — რექტორატი, პარტიული კომიტეტი და, რაღა თქმა უნდა, თვით ბოქოლიშვილიც, რას არ იგონებდა, რას არ ჩმახავდა ანონიმი ავტორი. ისეთ ცოცხალ ტყუილს მოგიყვებოდა, თმა ყალყზე დაგიდგებოდა ადამიანს, უნებურად დაინტერესდებოდი, მიხვდოდი, შეამოწმებდი და — სრული სიცრუე!

კარგად რომ ჩაუკვირდა, ერთი გარემოება ენიშნა ბ. ბოქოლიშვილს: შიგადაშიგ საჩივრებში ისეთი დეტალი, მომხდარი ფაქტის დამახინჯებული ნაგლეჯი და ნამუსრევი გაიელვებდა, რომელიც მხოლოდ მასთან დაახლოებულ პირს შეიძლებოდა ჰქონოდა ხელთ და ბოროტად გამოეყენებინა.

ამ დაკვირვებამ, ბუნებრივია, ეჭვი დაბადა. ეჭვის შემოწმების სურვილმა კი ბ. ბოქოლიშვილი აიძულა ანონიმური წერილის ავტორის კვალს მიჰყოლოდა და, როცა მოულოდნელად იმ ორმოს მიადგა, სადაც ის იყო დამალული, თავადვე შეკრთა და შეძრწუნდა: ორმოში მისი მეგობრის ზურაბ კაკუშაძის მეუღლე — ბელა კაკუშაძე აღმოჩნდა. იჯდა ქალი არხეინად, დარწმუნებული, რომ ამ ჯურღმულში ვერავინ იპოვიდა, შემოეწყო გარშემო ტალახის გუნდებად შეკრული საჩივრები და ისროდა...

სამალავიდან რომ ამოიყვანეს, მეტი რაღა გზა ჰქონდა, საქვეყნოდ აღიარა: კი, ეს მე ვიყავი, ოთხი წელიწადია სიცოცხლე რომ გავუმწარეთ ბორის ბოქოლიშვილს, მქონდაო კიდევაც ამის მიზეზი — მაგან დამიჩაგრა და დამიავადმყოფაო ქმარი.

ქმარს კი, ცოლის მხილების ამბავი რომ გაიგო, შერცხვა, შეწუხდა, თავის მართლება დაიწყო: მე არაფერი ვიცოდიო, ჩემი მეუღლე ამას თუ სჩადიოდაო.

იმასაც მიხვდა, ამიერიდან დეკანატში რომ არ გაეჩერებოდა, დაწერა განცხადება და წავიდა.

წავიდა, მაგრამ ეტყობა თავს ვერ მოერია, ბოღმა ვერ ამოიღო გულიდან და ბ. ბოქოლიშვილს მუქარა დაუტოვა ანდერძივით: დეკანატის საქმეებს თავდაყირა დავაყენებო.

მუქარის აღსასრულებლად სხვა რა ძალა შესწევდათ ცოლსა და ქმარს, ისევ და ისევ ტალახში ძოითხუპნეს ხელები და საჩივრების შეთხზვა დაიწყეს. ახლა უკვე ორმოში აღარ იმალებოდნენ, სააშკარაოზე გამოვიდნენ. იხტიბარს არ იტეხდნენ, ვითომ რაო და გამოჩენა არ გვინდოდა, თორემ იმთავითვე ამ „ანონიმკებშიც" ყველაფერს მართალს ვწერდითო.

სად არ იჩივლეს, ვინ არ შეაწუხეს. კვლავ შეიქმნა კომისიები, კაკუშაძეების საჩივრები შეამოწმეს და გადაამოწმეს ერთხელ, მეორედ, მესამედ...

— არა ხართ მართალი, არ დადასტურდა თქვენს საჩივრებში მოყვანილი ფაქტები, ცდებით, ტყუით, ცრუობთ, ცილს სწამებთ. — უთხრეს, აუხსნეს, განუმარტეს კომისიის წევრებმა.

— დამშვიდდით, დაწყნარდით, საქმეს მოჰკიდეთ ხელი, ოჯახს მიხედეთ. — სთხოვეს, ურჩიეს ამხანაგებმა, მეგობრებმა, ახლობლებმა.

არა და არა, არაფერმა არ გაჭრა, არ დაცხრნენ, არ დამშვიდდნენ. ახლა ქალზე არანაკლებ კაცი იჭაჩებოდა და აკი საქმე ხულიგნობამდე მივიდა.

თუმცა, ქნენ, ცოდვაშიც ვდგამდეთ ფეხს, ზურაბ კაკუშაძის საქციელს ხულიგნობას და ბოროტმოქმედებას რომ ვარქმევთ. იქნებ ეს იყო მოქმედება სინდისის ქენჯნით შეწუხებული, სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი გზააბნეული კაცისა, რომელსაც სურდა სირცხვილის ოფლი მოეწმინდა, თავი ემართლებინა ახლობლების, საზოგადოების თვალში.

ჩანს, ამ თვალსაზრისით შეხედა ამ ამბავს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ხელმძღვანელობამაც, რომელმაც ჰუმანურობა გამოიჩინა. არ გასწორა თავისი კოლექტივის წევრი, სისხლის სამართლის დამნაშავედ არ ჩათვალა და პედაგოგისათვის შეუფერებელი საქციელისათვის მხოლოდ სამუშაოდან გაათავისუფლა, ხოლო პარტიულმა კომიტეტმა არ გარიცხა სკკპ რიგებიდან, აკმარა სასტიკი საყვედური საღრიცხვო ბარათში შეტანით.

მაგრამ თავად ზურაბ კაკუშაძემ ვერ დააფასა ეს და ახლა ახალ-ახალი საჩივრებით უფრო ზემდგომ ინსტანციებს მიმართა თავის მართლების მიზნით—ჩვენაო, აქეთ დაგვწამეს ცილიო, საქვეყნოდ თავი მოგვჭრესო.

მერე და განა ეს არის თავის მართლება! ამ ხნის ადამიანებმა, პედაგოგებმა და აღმზრდელებმა, ვითომ დავიჯეროთ, არ იციან, რომ შეცდომა რომ მოგივა, უკადრისს რომ იკადრებ, დანაშაულს რომ ჩაიდენ, თავის მართლებას აღარ უნდა მოჰყვე, ბოდიში უნდა მოიხადო და მოინანიო...

ამჯერად კაკუშაძეებმა ეს ფელეტონი და საჯაროდ გაკიცხვა დაიმსახურეს, ხოლო თუ ესეც გულისწყრომის მეტს, სხვა ვერავითარ გრძნობას ვერ აღძრავს მათს გულში, მით უარესი მათთვის!

ჰო, მართლა, კაკუშაძეების გაუთავებელი საჩივრებისა და ჭირვეულობის გამო, საქმე მაინც სასამართლომდე მივიდა, ზ. კაკუშაძე სამართალშია მიცემული, როგორც ცილისმწამებელი.

მიხეილ მიქაძე.

ყაბახი

დღის წესრიგში სპარტაკიადა

წყალბურთელთა სასპარტაკიადო შეჯიბრების ბოლოსწინა ტურნირში საქართველოს ნაკრების მეტოქე გახლდათ ყაზახეთის გუნდი, რომელიც ამ უკანასკნელ წლებში არათუ ტოლს არ უდებს საბჭოთა კავშირის ნებისმიერ კოლექტივს, უმეტესწილად გამარჯვებული რჩება. ამ დღეს ყაზახეთის გუნდთან შეხვედრამდე გამართულმა მატჩებმა, განსაკუთრებით კი უზბეკეთისა და უკრაინის წყალბურთელთა შეხვედრის შედეგმა (დამთავრდა ფრედ 7:7), საქართველოს ნაკრებს საპრიზო ადგილის მოპოვების იმედი მთლიანად გადაუწურა. ჩვენი გუნდი დამარცხდა ყაზახეთთან — 9:13 (3:5, 0:2, 3:4, 3:2).

გუშინ საქართველოს ნაკრები შეხვდა აზერბაიჯანის კოლექტივს, გაიმარჯვა ანგარიშით 11:10, საბოლოოდ შვიდი ქულა დააგროვა და მეხუთე ადგილს დასჯერდა (შეგახსენებთ, რომ სსრ კავშირის ხალხთა წინა, მეშვიდე სპარტაკიადაზე ჩვენმა ნაკრებმა დიდებულად იასპარეზა და მაშინ მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა).

მოფარიკავეთაგან რაპირისტ ვაჟების შემდეგ მოხმალავეებმაც დაამთავრეს შეჯიბრება. პირად ასპარეზობაში სპარტაკიადის ჩემპიონის წოდება მოიპოვა მოსკოველმა ვლ. კროვოპუსკოვმა, მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა ს. მინდირგასოვმა (უკრაინა), მესამე— ს. კორიაკინმა (რსფსრ).

არცთუ ურიგოდ იასპარეზა საქართველოს წარმომადგენელმა გიორგი პაიჭაძემ, რომელმაც საბოლოოდ მეექვსე ადგილი დაიკავა და საქართველოს სპორტულ დელეგაციას 14 ქულა შესძინა. რაც შეეხება მოხმალავეთა გუნდურ ასპარეზობას, საპრიზო სამეულში კოლექტივები ასე განაწილდნენ: მოსკოვი, რსფსრ, უკრაინა. ამ დისციპლინაში საქართველოს ნაკრები მეშვიდე ადგილს დასჯერდა. მეშვიდე ადგილისათვის ბრძოლაში ჩვენმა მოხმალავეებმა ერთობ დაძაბულ ვითარებაში ძლიეს აზერბაიჯანელებს და 22 ჩამთვლელი ქულა მიიღეს. ფარიკაობის ორ სახეობაში (ვაჟთა რაპირა და ხმალი) ჩვენმა სპორტსმენებმა სულ 60 ქულა დააგროვეს.

დამთავრდა კალათბურთელ ვაჟთა შეხვედრები ქვეჯგუფებში. საქართველოს ნაკრებმა საწყისი ეტაპის ბოლო ნაწილში მატჩი აზერბაიჯანელებთან გამართა. იგი მოიგო ანგარიშით 108:100 და ფინალურ ოქტეტში გაიკვლია გზა. ამ ჯგუფიდან ფინალში გავიდნენ აგრეთვე უკრაინელები, რომელთაც აქტივში ჩვენი რესპუბლიკის ნაკრებთან მოპოვებული 2 ოქროს ქულა აქვთ. სხვა ჯგუფებიდან მთავარ ფინალში შევიდნენ ლენინგრადის, მოსკოვის, ლიტვის (2-2 ქულით), ლატვიის, რუსეთის ფედერაციის და ბელორუსიის გუნდები.

საქართველოს ფრენბურთელებმა, რომლებიც მე-13 — მე-17 ადგილებისათვის მებრძოლ გუნდებში არიან, მორიგი შეხვედრები მოიგეს: ქალებმა დაამარცხეს ყირგიზები ანგარიშით 3:2, ხოლო ვაჟებმა გაიმარჯვეს სომხეთის კოლექტივთან — 3:0. ამ ჯგუფებში ქალთა შორის 2-2 ქულა აქვთ საქართველოს (ორი მატჩიდან), ყირგიზეთისა და სომხეთის გუნდებს (სამ-სამი შეხვედრიდან), ტაჯიკებს ერთი ქულა აქვთ, თურქმენებს 0 (სამ-სამი მატჩიდან). ვაჟთა შორის 2:2 ქულით ლიდერობენ ყირგიზეთის (2 თამაშიდან) და საქართველოს (სამი თამაშიდან) ფრენბურთელები. თითო ქულა აქვთ თურქმენეთის (ორიდან) და სომხეთის (სამიდან) კოლექტივებს. ტაჯიკები 0 ქულით ბოლო ადგილზე არიან. ორი ტურიც და ფრენბურთელთა ამ ჯგუფებში შეჯიბრება დამთავრდება.

ჯ. ენუქიძე,
„კომუნისტის" სპეც. კორ.
მოსკოვი.

სატურნირო ორბიტა

მძლეოსნობა. გდრ-ის ჩემპიონატში მონაწილე ასტრიდ სტრაუსმა ევროპის რეკორდი დაამყარა 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში — 4 წუთი და 8,25 წამი. ძველი მიღწევაც მის თანამემამულეს ინეს დირსს ეკუთვნოდა — 4 წუთი და 8,58 წამი.

კალათბურთი. ბრაზილიაში დაიწყო საერთაშორისო ტურნირი კალათბურთში. ევროპის ჩემპიონმა იტალიის ნაკრებმა სან-პაულუში ანგარიშით 88:83 დაამარცხა მასპინძელთა ნაკრები, რომელმაც სულ ახლახან სამხრეთ ამერიკის ჩემპიონის წოდება მოიპოვა. ევროპის ამასწინანდელი ჩემპიონატის შემდეგ გადახალისებულმა იუგოსლავიის ნაკრებმა მოუგო არგენტინელებს — 91:71. ტურნირში აგრეთვე მონაწილეობს აშშ-ის გუნდი „მარათონი".

დ. ი. ბერეჟიანი

საქართველოს სამედიცინო საზოგადოებრიობამ დიდი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დარია ივანეს ასული **ბერეჟიანი.**

დ. ბერეჟიანი დაიბადა 1897 წელს ქ. მახარაძეში, მოსამსახურის ოჯახში. 1913 წელს ამთავრებს ბათუმის ქალთა გიმნაზიას, ხოლო 1923 წელს წარჩინებით — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტს. ამავე წელს დ. ბერეჟიანი, როგორც ახალგაზრდა პერსპექტიული ექიმი, დაინიშნა საფაკულტეტო ქირურგიის კლინიკის ორდინატორად პროფესორ ალექსანდრე მაჭავარიანთან.

1935 წელს დ. ბერეჟიანს მიენიჭა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის წოდება. როგორც პერსპექტიული და მზარდი მეცნიერი, იგი მივლინებული იყო მოსკოვსა და ლენინგრადში და წლების განმავლობაში იღრმავებდა თავის მეცნიერულ და პრაქტიკულ ცოდნას ცნობილი მეცნიერების, პროფესორების ი. ჯანელიძის, დ. შერგუნენკოს, ა. სპირანსკის ხელმძღვანელობით. დ. ბერეჟიანმა, პირველმა ქართველმა ქალმა ქირურგმა, ბრწყინვალედ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, რომელშიც პირველად დაასაბუთა ნერვული კომპონენტის როლი აპენდიციტის განვითარებაში. 1937 წელს დ. ბერეჟიანი არჩეულ იქნა დოცენტად და კითხულობს ლექციებს სამხედრო-საველე ქირურგიაში. 1941 წელს იგი აირჩიეს პედიატრიის და სანჰიგიენის ფაკულტეტების საფაკულტეტო ქირურგიის კათედრის პროფესორად, ხოლო 1943 წელს — ამავე კათედრის გამგედ.

1939-40 წლებში თეთრფინელებთან ომის დროს დ. ბერეჟიანი ქმნის ქართველ ქირურგთა მოხალისეთა ჯგუფს და მიემგზავრება ფინეთის ფრონტზე, სადაც მან დიდი მუშაობა გასწია დაჭრილ მეომართა მკურნალობისათვის. პარტიამ და ხელისუფლებამ დიდად დააფასეს დ. ბერეჟიანის მოღვაწეობა და იგი ექიმთა შორის საქართველოში პირველი დააჯილდოვეს საბრძოლო წითელი ვარსკვლავის ორდენით.

1956 წელს დ. ბერეჟიანს მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

დ. ბერეჟიანი იყო შესანიშნავი პედაგოგი და ახალგაზრდობის დიდი მეგობარი. იგი იყო მეტად მომთხოვნი მეცნიერი. მისი ხელმძღვანელობით კლინიკაში შესრულდა ოთხასამდე მეცნიერული ნაშრომი, მათ შორის სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაციები. პირადად მას დაწერილი აქვს 70-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომი.

პედაგოგიურ და სამეცნიერო მოღვაწეობასთან ერთად პროფესორი დ. ბერეჟიანი საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა. სხვადასხვა დროს იგი იყო ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონული საბჭოს დეპუტატი, თბილისის საბჭოს დეპუტატი, საქართველოს ორი მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. წლების განმავლობაში იყო სსრ კავშირის მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის წევრი, მშვიდობის დაცვის საბჭოს წევრი, თბილისის გ. მუხაძის სახელობის ქირურგთა საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე. იგი დაჯილდოებული იყო ლენინის, შრომის წითელი დროშის, წითელი ვარსკვლავის, „საპატიო ნიშნის" ორდენებით და მრავალი მედლით.

მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ დ. ბერეჟიანის — შესანიშნავი მასწავლებლის, მეცნიერული ხელმძღვანელისა და მეგობრის ხსოვნა მუდამ დარჩება მისი მოწაფეების, თანამშრომლებისა და მეგობრების გულში.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო; თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი; საქართველოს ქირურგთა საზოგადოება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შექმნა მედიცინის მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ დ. ი. ბერეჟიანის დამკრძალავი კომისია, რომელშიც შედიან: ამხანაგები გ. გ. ლეჟავა, (თავმჯდომარე), მ. გ. გიორგაძე, გ. ვ. გურგენიძე, ა. ვ. ჯორბენაძე, ნ. ა. ქვანია, გ. დ. იოსელიანი, ზ. ნ. კახიანი, ა. ი. კუტუბიძე, მ. დ. უჩანეიშვილი.

დ. ი. ბერეჟიანის დაკრძალვის ორგანიზაციასთან დაკავშირებულ ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

ტელევიზია

19 ივნისი

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.45 — ხალხური შემოქმედება. 10.30 — „მალვიბარა". 11.00 — ვემსახურები საბჭოთა კავშირს! 12.00 — ჯანმრთელობა. 12.45 — დილის ფოსტა. 13.15 — „მშენებლობა და არქიტექტურა". კინოჟურნალი. 13.30 — სოფლის საათი. 14.30 — მუსიკალური კიოსკი. 15.00 — ა. კორნეიჩუკი — „პლატონ კრეჩეტი". ფილმ-სპექტაკლი. 17.15 — მულტფილმი. 17.45 — დღეს მედიცინის მუშაკის დღეა. გესაუბრებათ სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ს. პ. ბურენკოვი. 18.00 — კონცერტი. 19.00 — საერთაშორისო პანორამა. 19.45 — მხატვრული ფილმი „მაქსიმკა". 21.00 — მოგზაურთა კლუბი. 22.00 — „ვრემია". 22.35 — ფილმ-კონცერტი „რიხტერთან ანსამბლში". პრემიერა. 23.40 — საფეხბურთო მიმოხილვა. 24.00 — სპორტული გადაცემა. დამთავრების შემდეგ — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.20 — კონცერტი. 9.45 — დოკუმენტური ფილმები მედიცინის მუშაკის დღის გამო. 10.30 — პოეზია. 11.00 — მულტფილმი. 11.10 — ცხოველთა სამყაროში. 12.10 — ა. ალექსინი — „კინოში" წავიდეთ?". მოსკოვის მოზარდ მაყურებელთა თეატრის სპექტაკლი. 13.35 — სტადიონი ყველასათვის. 15.55—გვიამბობენ ჩვენი კორესპონდენტები. 16.25 — ჰორიზონტი. 17.25 — „ჟან კრისტოფი". მეექვსე სერია. 19.00 — „ერმიტაჟი". მე-3 ფილმი — „მენშიკოვის სასახლე". 19.30 — მოსკოველი ქალი. ტელეკლუბი. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!". 21.15 — მე-8 სპარტაკიადა. მძლეოსნობა. 22.00 — „ვრემია". 22.35 — მხატვრული ტელეფილმი „ძველი წერილები".

თბილისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.40 — დოკუმენტური ფილმი „საუკუნე ყვავილებთან". 10.00 — „მოამბე". 10.30 — შევისწავლოთ რუსული ენა. 11.00 — „სამეურნეო მექანიზმი — სიახლენი, პრობლემები". 11.45 — მოსწავლეთა საზაფხულო არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის. „ცისკარა". მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმები: „კნოპკა" და „საოცარი კატა", მულტფილმები „ოქროს წიწილა", „ბეჰემოტის სიზმრები". 12.45 — „დილის ფოსტა" — 13.15 — ქართული ენისა და ლიტერატურის ტელეკურსი (სტუდიაშია დოცენტი თ. კვაჭანტირაძე). 13.45 — „სასტრადო პანორამა" (განმეორებით). 14.30 — „საკვირაო გამოფენა". 14.35 — „მოქალაქე, საზოგადოება, კანონი". 14.50 — „რედაქციაში წერილი მოვიდა"... „ცოდვის შვილების ფოსტა". 15.25 — კინონარკვევი. 15.35—„კინოაფიშა". 16.05—„ხალხური შემოქმედება" კონცერტი. 16.35 — „საკვირაო გამოფენა". 16.40 — „ვესტნიკი". 17.10 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი (ვალსების საღამო). 17.40 — „საკვირაო გამოფენა". 18.05 — „გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისათვის", კინოსტუდია „მოსფილმის" დღეები საქართველოში". 18.55 — „საკვირაო გამოფენა", 19.00 — „საერთაშორისო პანორამა" (მ.). 19.45 — „ზღაპრის გუდა". 20.00 — „მოამბე". 20.30 — „უჩვენებს სატელევიზიო თეატრი": „ამბავი უფლისწულისა" — საბავშვო სატელევიზიო მუსიკალური სპექტაკლის პრემიერა. 21.05 — „საკვირაო გამოფენა", 21.15 — ლიტერატურული გადაცემა „პალესტინა, პალესტინა". 22.00 — „ვრემია". 22.35 — „ხვალ ტელეეკრანზე". 22.40 — გასართობი პროგრამა „რიტმი, რიტმი, რიტმი". 23.20 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „შესვენება". 23.40 — „საფეხბურთო მიმოხილვა" (მ.).

КОММУНИСТИ ИНДЕКС 68434 უე 06361 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშტარიას 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20